პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 47 (20088) ოთხშაბათი, 24 თებერვალი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ახალგაზრდა თადარიგის მეომართა საკავშირო შეკრების შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაიზარდა იმ ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა, რომლებმაც სამსახური გაიარეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში. თადარიგში დათხოვნილი ჭაბუკები ენერგიულად ებმებიან შრომითი და სასწავლო კოლექტივების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაზე აქტიურად ავლენენ თავს ახალგაზრდები, რომლებმაც ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს ავღანეთში. ბევრი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია უნარიანად იზიდავს ყოფილ მეომრებს ახალგაზრდობისა და მოზარდების სამხედრო-პატრიოტულ, ინტერნაციონალურ, ფიზიკურ აღზრდაში მონაწილეობისათვის. ქვეყნის მთელ რიგ რესპუბლიკებში, ოლქებში იქმნება ინტერნაციონალისტ მეომართა კლუბები, საბჭოები, მათი უმრავლესობის საქმიანობას მხარს უჭერენ ოფიციალური ორგანიზაციები, მადლიერებით ეკიდება საზოგადოებრიობა.

ამავე დროს, ნათქვამია დადგენილებაში, იდეურად საზიანო შეხედულებების, უზომო პირადი ამბიციების მქონე ზოგიერთი პირი ცდილობს ამ კატეგორიის ახალგაზრდობა ჩამოაცილოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საქმეებს, მოწყვიტოს იგი კომკავშირს, დაუპირისპიროს ომისა და შრომის ვეტერანებს, ამასთან სპეკულაციურად იყენებს გარდაქმნის მიმდინარეობის სიძნელეებს, ჭაბუკურ მაქსიმალიზმს, სახელმწიფოს მიერ ინტერნაციონალისტი მეომრებისათვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების რეალიზაციაში ფორმალიზმის ფაქტებს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი სწორად მოიქცა, როცა დროულად დაუჭირა მხარი ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მისწრაფებას — გაერთიანებულიყვნენ კონკრეტული, სასარგებლო მუშაობის გარშემო, და მათი მეცადინეობა წარმართა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის.

შეკრებაზე დაინტერესებით განიხილეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადების პრობლემები, აღინიშნა ნაკლოვანებანი მოსახლეობას შორის თავდაცვით-მასობრივი და სპორტული მუშაობის დაყენებაში. გამოსვლებში მწვავედ იყო ლაპარაკი შემთხვევებზე, როცა ზოგიერთი ორგანიზაცია და თანამდებობის პირი უყურადღებოდ ეკიდება მეომრებს, რომლებიც ბრძოლაში დაიჭრნენ და დასახიჩრდნენ, დაღუპულთა ოჯახებსა და ხსოვნას. ამავე დროს შეკრების მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ცალკეულ ახალგაზრდებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, რომ განსაკუთრებული არიან და განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოთ საზოგადოებაში. შეკრებამ დემოკრატიული გზით შეიმუშავა და მიიღო საბოლოო დოკუმენტი, რომლის მიზანია ახალგაზრდობისა და მოზარდთა აღზრდის საქმეში ყოფილ მეომართა ცოდნისა და გამოცდილების აქტიური გამოყენება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებანი ახალგაზრდობას შორის სამხედრო-პატრიოტულ მუშაობაში ახალგაზრდა თადარიგის მეომართა აქტიურობის განვითარებისათვის.

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ახალგაზრდობის ამ სასარგებლო თაოსნობას. ჩამოუყალიბონ ახალგაზრდებს საბჭოთა საზოგადოების მიერ განვლილი ისტორიული გზის სწორი გაგება, სიამაყე მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიღწევებისათვის, მზადყოფნა ამრავლონ პარტიისა და ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ პარტიული მუშაობა ქალიშვილებისა და ქაბუკებისათვის ინტერნაციონალიზმისა და კლასობრივი სოლიდარობის გრძნობის ჩანერგვას.

პარტიული კომიტეტების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უნდა გააუმჯობესონ ყველა იმ უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც მოწოდებული არიან იწეოდნენ სამხედრო-პატრიოტულ და თავდაცვით-მასობრივ მუშაობას, მიაღწიონ, რომ მისი განხორციელებისათვის შეიქმნას საჭირო ორგანიზაციული და მატერიალური წანამძღვარები.

სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განიხილონ თადარიგის ახალგაზრდა მეომართა საკავშირო შეკრების მონაწილეთა წინადადებანი, განახორციელონ მათი რეალიზაციის შესაბამისი ღონისძიებანი, დაეხმარონ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფს მორიგი შეკრების მოწყობაში, რომელიც მიეძღვნება სწავლისა და ცხოვრების ადგილას ახალგაზრდობისა და მოზარდთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში თადარიგის მეომართა მონაწილეობის შემდგომი გააქტიურების საკითხებს.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცათ განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ფართოდ მიიზიდონ ახალგაზრდა თადარიგის მეომრები, უწინარეს ყოვლისა, ისინი, ვინც ინტერნაციონალური ვალი მოიხადა, სასწავლებლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელებად მუშაობისათვის. სამხედრო მმართველობის, სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ მათი თვისებრივი შერჩევა და სწავლება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დაუშვებელია დაჭრილი და დასახიჩრებული ყოფილი ინტერნაციონალისტი მეომრებისადმი, დაღუპულთა ოჯახებისა და ხსოვნისადმი ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევები, მოსთხოვა განახორციელონ სახელმწიფოს მიერ მათთვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების რეალიზაციის საჭირო ღონისძიებანი.

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ადგილობრივ კომკავშირულ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გააქტიურონ შეფობა ჰოსპიტლებისადმი, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისადმი, სადაც ჯანმრთელობას აღიდგენენ ინტერნაციონალისტი მეომრები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, აღნიშნულია დადგენილებაში, უფრო ფართოდ უნდა გააშუქონ მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის გამიზნული პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, ჯარის ნაწილების მუშაობის გამოცდილება.

განახლების იდეოლოგია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი აქტიური მოქმედებისათვის მოგვიწოდებენ

17-18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წარმოთქვა სიტყვა „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია". მასში ღრმად არის გაანალიზებული გარდაქმნის ახალი ეტაპი, ჩამოყალიბებულია მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის პროგრამა.

პლენუმმა განიხილა საკითხი „საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები მისი განხორციელების საქმეში". მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა.

განიხილეს რა ფართო პარტიული, სახელმწიფო პოზიციებიდან სახალხო განათლების რეფორმის გაღრმავების პრობლემები, პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იგი მიმდინარეობს გარდაქმნის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში. გარდაქმნასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ყველაფერი, რაც ეხება სკოლას, განათლებასა და აღზრდას. საზოგადოებას, რომელიც ახორციელებს რევოლუციურ გადახვლას თვისებრივად ახალ მდგომარეობაზე, სჭირდება განათლებული, სოციალიზმის ერთგული, აქტიური მოქალაქე, რომელმაც იცის ცხოვრება და შრომა ახლებურად. არაფერი მიმდინარეობს ადამიანის გვერდის ავლით, არაფერი არ კეთდება უმისოდ.

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა პარტიისაგან მოითხოვს ზუსტ მოქმედებას სადღეისოდაც და პერსპექტივისთვისაც. სწორედ ამით ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, როცა ამუშავებს სკკპ მე-19 საკავშირო კონფერენციის კონცეფციას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ბევრი რამ პარტიის შემდგომ სტრატეგიულ მუშაობაში. საჭიროა უკვე ახლა, კონფერენციის წინ, მოვიფიქროთ, განვიხილოთ გარდაქმნის ზოგიერთი პრინციპული იდეოლოგიური ასპექტი.

გარდაქმნა სულ უფრო ღრმად ეხება მილიონობით ადამიანის, მთელი საზოგადოების საარსებო ინტერესებს, ბუნებრივია, ადამიანებს სურთ უკეთ გაერკვნენ განახლების პროცესების არსსა და დანიშნულებაში, ცვლილებების ახლო და შორეულ მიზნებში, განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება მათდამი. რთული საქმეა უარის თქმა სტერეოტიპებსა და „მოხერხებულ" ჩვევებზე, გულგრილობის, სოციალური პასიურობის დაძლევა. ცვლილებებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. თავს იჩენს დაბნეულობა ზოგიერთში: ხომ არ ვთმობთ სოციალიზმის პოზიციებს? ზოგ-ზოგებს, როგორც ცნობილია, გარდაქმნები საერთოდ არ მოსწონს. პარტია არ აფუჩეჩებს მწვავე საკითხებს, პირიქით, აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ განახლების მტკიცე მომხრენი, რომლებიც სულ უფრო მრავლდება და მრავლდება, იძულებული არიან იმოქმედონ არცთუ მარტივ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სიტუაციაში. ხალხის მზარდი მხარდაჭერა — აი რა არის პარტიისათვის მთავარი. იგი, ავტორიტეტულად ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნიდან, მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს იმას, რაც არის სოციალიზმის სასარგებლო, უარყოფდა და უარყოფს ყოველივე იმას, რაც ვნებს ხალხის ინტერესებს.

იძენს რა გაქანებასა და სიღრმეს, გარდაქმნა გვაიძულებს უფრო ყურადღებით შევუჭვრიტოთ განვლილი გზა და მომავალი გზა ლენინის ანდერძს. არა გაზეპირებულ ჭეშმარიტებათა გასამეორებლად რაღაც რიტუალისათვის, არამედ ყველაზე საიმედო ორიენტირების ძიებისათვის! სწორედ ამიტომაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა იდეოლოგიური საქმიანობის პრობლემებს, სოციალიზმისა და გარდაქმნის თეორიის საკითხებს. ისინი წინათაც არ ყოფილა პარტიის ყურადღების გარეშე, ფართოდ აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში პარტიის XXVII ყრილობისადმი, მისი პროგრამის ახალ რედაქციაში, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალებში, მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში, განსაკუთრებით ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ დოკუმენტებში. მაგრამ ახლა იგრძნობა მტკიცე მოთხოვნილება მივუდგეთ ამ საკითხებს ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, ვიმუშაოთ მათზე საფუძვლიანად. სწორედ წარსულისა და აწმყოს, განვითარების შესახებ მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულ პარტიას შეუძლია და მოვალეც არის უმეთაუროს საზოგადოებაში ყველაზე თანამედროვე სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბების პროცესებს, თეორიულად გააშუქოს სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპი, პრაქტიკულად უზრუნველყოს მისი წარმატება.

გარდაქმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს დავამკვიდროთ ნამდვილად მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ჩვენი საზოგადოების ისტორიისადმიც. იგი გულისხმობს აზრის შეუპოვარ, დაძაბულ და კრიტიკულ მუშაობას, რომელიც მოითხოვს დროს, ნიჭსა და პასუხისმგებლობას. შეუწყნარებელია აჩქარება შეფასებებში, ჭეშმარიტების გამაბუნდოვანებელი კონიუნქტურული ნახელავის გამოტანა ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროებზე. ასეთი ნახელავი კი, სამწუხაროდ, გვხვდება ზოგიერთ ჩვენს გაზეთსა და ჟურნალში. არა აქვთ რა ფაქტები და მეცნიერული დამამტკიცებელი საბუთები, ისინი მიმართავენ სხვადასხვაგვარ მონაჭორებს.

ყურადღებით რომ ვსწავლობთ საბჭოთა წარსულს, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნები მუშაობისათვის საზოგადოების გარდაქმნისა და განახლების პირობებში. გარდაქმნა — ეს არის ჩვენი ძნელი გამოცდილების გათვალისწინებაც და ყოველივე იმაზე უარის თქმაც, რაც იყო და არის ჩვენი წინსვლის მუხრუჭი. გარდაქმნა ნიშნავს ჩვენი წარუვალი ღირებულებების — ყველაფერი ადამიანისათვის და ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ აღდგენასა და განვითარებას. პარტია იმედს ამყარებს თითოეულის ცოდნაზე, გონებაზე, გამოცდილებაზე, საუკეთესო ადამიანურ თვისებებზე, სახავს მაქსიმალურ შესაძლებლობებს ცხოვრებით, საერთო მუშაობაში, ეკონომიკაში, სიახლის დემოკრატიის, საჯაროობის დამკვიდრებაში მონაწილეობით ადამიანთა აღზრდისათვის.

გარდაქმნის მიზნების მიღწევის გადამწყვეტი საშუალებაა საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაცია. მხოლოდ დემოკრატიის მეშვეობით შეიძლება მთლიანად ჩავრთოთ ადამიანის ფაქტორი საზოგადოების ღრმა განახლებაში, მივანიჭოთ მას მძლავრი იმპულსი. პარტია მოწოდებულია გვიჩვენებდეს დემოკრატიზმის მაგალითს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვძლევდეთ ბევრი პარტიული კომიტეტის, მათი აპარატების დიდი ხნის დროინდელ ერთგულებას მბრძანებლობის, ყველასი და ყველაფრის მაგივრობის გაწევის მეთოდებისადმი. ბოლო უნდა მოვუღოთ იმის ცდებსაც, რომ შეზღუდონ დემოკრატია, უგულებელყონ საზოგადოებრიობის აზრი. იყენებს რა ყველაზე დემოკრატიულ მეთოდებს, პარტია მოწოდებულია უზრუნველყოს ხელმძღვანელი, ავანგარდული როლი გარდაქმნის ახალ ეტაპზე, განავითაროს თითოეული ცალკეული ადამიანის, შრომითი კოლექტივების ინიციატივა, შემოქმედება.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. როცა ამკვიდრებენ და ავითარებენ უკანასკნელი წლების მანძილზე შეძენილს, მათ უნდა აჩვენონ იმ ამოცანების მთელი სირთულე, სიახლე, რომლებსაც პარტია და ხალხი წყვეტენ, არ დაუშვან ზერელე, ნაჩქარევი შეფასებები, უფრო ღრმად და მკაფიოდ გააშუქონ გარდაქმნის გამოცდილება შრომითს კოლექტივებში, ქალაქებსა და რაიონებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში, ცენტრში.

დემოკრატიზაციის საჯაროობის განვითარებაში დიდი როლი ეკუთვნით პროპაგანდისტებს, ლექტორებს, იდეოლოგიურ მუშაკებს. გარდაქმნა შეუძლებელია, თუ მკაცრად არ დავიცავთ კანონიერებას, დისციპლინას, წესრიგს. პლენუმზე წამოაყენეს წინადადება მოეწყოს იურიდიული საყოველთაო სწავლება, როგორც ერთიანი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამა.

პარტია, რომელიც მხარს უჭერს საზოგადოების მტკიცე დემოკრატიზაციას, აცხადებს: დემოკრატიის განვითარებისა და გაფართოების არცნობა ან შეუფასებლობა სხვა არა არის რა, თუ არა ხალხის, დემოკრატიისადმი მისი ერთგულების ურწმუნოება. გაბედულად და ენერგიულად უნდა გავზარდოთ, გავაფართოოთ გარდაქმნის „კულტურული ფენა", ვამრავლოთ უნიკალური სიმდიდრე, როგორიც არის ჩვენი მრავალეროვნული კულტურა, ადამიანებში განვამტკიცოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობა.

სოციალიზმის განახლების, მისთვის თანამედროვე და დინამიკური ფორმების მინიჭების განუყოფელ მხარედ პარტიას მიაჩნია რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. ეს არის იმის რეალური საფუძველი, რომ გავაღრმავოთ დემოკრატია, უზრუნველვყოთ მშრომელების, როგორც წარმოების, მთელი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონების, მონაწილეობა მართვაში. აქ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე გვაქვს. იცვლება ადამიანთა დამოკიდებულება საქმისადმი. კეთილსინდისიერი, პატიოსანი შრომის პრესტიჟის ამაღლების კვალობაზე სულ უფრო საგრძნობია მისწრაფება თავიდან ავიცილოთ გათანაბრება, რომელიც აფერხებს შრომისადმი, მისი ნაყოფიერების გადიდებისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

დრო მოითხოვს მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ეკონომიკის განვითარების დიდი მასშტაბის გეგმების რეალიზაციას. მაგრამ ამ დროს არც ერთი ნაბიჯით არ უნდა მოვწყდეთ ხალხის ყოველდღიურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, საქმე ეხება უპირველესი პრობლემების — სასურსათო, საბინაო, მაღალხარისხოვანი საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით დასახული პროგრამები, სამწუხაროდ, ყველგან როდი სრულდება დროზე და სრული მოცულობით.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ახლა ჩვენი პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას ვუდგებით მისი დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. აქ მთავარია შევქმნათ ხელისუფლებისა და მართვის ისეთი მექანიზმი, როცა ზუსტად იქნება მოგვარებული ქმედითი დემოკრატიული კონტროლი. უზრუნველყოფილი იქნება პრინციპულ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში ხალხის აქტიური მონაწილეობა. საქმე ეხება საბჭოთა როლის გაძლიერებას, რათა ისინი იყვნენ ხელისუფლების ნამდვილი გამომხატველნი ცენტრშიც და ადგილებზეც. საქმე ეხება საარჩევნო სისტემის სრულყოფას, მის დემოკრატიზაციას. საქმე ეხება პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნას, საქმით ლენინური დებულებების დამკვიდრებას, პარტიას, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ავანგარდს.

გარდაქმნა — ეს არის პარტიის საკადრო პოლიტიკის სრულყოფაც. ძირითადი კრიტერიუმი, რომელსაც აქ პარტია იცავს, გარდაქმნისადმი დამოკიდებულებაა. პარტიის კადრებისადმი დიდი მომთხოვნელობა გამოვლინდა უმოქმედობის, უპასუხისმგებლობის, ინერტულობის, ფუქსიტყვაობის, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების მიუღებლობით, რომელიც გამოხატეს ახლახან პარტორგანიზაციებში დამთავრებული კრებებისა და პარტიული კომიტეტების პლენუმების მონაწილეებმა, რომლებზეც მოისმინეს არჩევითი ორგანოების ანგარიშები გარდაქმნის ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშების მომთხოვნელი განხილვის დროს კომუნისტებმა არადამაკმაყოფილებლად ცნეს 4.800-ზე მეტი პარტკომისა და პარტბიუროს მუშაობა, შეცვალეს არჩევითი ორგანოების 80 ათასზე მეტი წევრი.

თავის XIX საკავშირო კონფერენციას პარტია ეგებება გამოცდილებით გამდიდრებული, იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ბოლომდე მიიყვანოს გარდაქმნა, რევოლუციური ცვლილებები საზოგადოებაში. კონფერენციაზე უნდა გავაანალიზოთ გარდაქმნის პირობებში ცხოვრებისა და მუშაობის სამი წლის, და განსაკუთრებით საწარმოს შესახებ კანონის მოქმედების პირველი თვეების პრინციპული შედეგები. განვსაზღვროთ, თუ რა მიჯნებზე გავიდნენ და გადიან ჩვენი პარტია და საზოგადოება, როცა გაშალეს დემოკრატიზაციის პროცესები, დაიწყეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი ჩვენი პოლიტიკური სისტემის სრულყოფისა და პარტიის, როგორც ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე პოლიტიკური ავანგარდის როლის შესახებ. ამით ახალი მძლავრი იმპულსი მიენიჭება ჩვენს რევოლუციურ გარდაქმნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები. ახლა პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გარდაქმნა გახდეს თითოეული კომუნისტის პატრიოტული საქმე, თითოეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობა.

„ПРАВДА"
21 თებერვლის მოწინავე

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ჯორჯ შულცთან

22 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულცს. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგში, რომელიც სულ უფრო მეტად იძენს შინაარსიან და რეგულარულ ხასიათს. ჩვენ მტკიცედ ვადგავართ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსს, განაცხადა მ. ს. გორბაჩოვმა. ასეთია საბჭოთა ხელმძღვანელობის კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილება, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის აზრს გამოხატავს.

შარშან, დეკემბერში უმაღლესი დონის შეხვედრა მიგვაჩნია დიდ მოვლენად ამ გზაზე და, ვადგავართ რა ამ გზას, ვამართლებთ საერთაშორისო გაერთიანების იმედებს. მეტ წილ სახელმწიფოთა მართებული აზრით, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესება შეესაბამება მთელი მსოფლიოს ინტერესებს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პირადმა კონტაქტებმა და პიროვნულმა მომენტებმა, რომლებმაც წარმოშვა ურთიერთგაგების გარკვეული პოტენციალი. მაგრამ იგი თანამედროვე მსოფლიოს ობიექტურ მოთხოვნილებებსაც ასახავს. ამით განისაზღვრება მემკვიდრეობითობაც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში ერთმანეთის მიმართ, რომელიც დასაბამს იღებს ჟენევიდან და თანდათან ძლიერდება რეიკიავიკისა და ვაშინგტონის გავლით მოსკოვის შეხვედრისაკენ.

საუბრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა და ჯ. შულცმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება დეკემბერში მიღწეული მორიგებანი და რა მდგომარეობაშია მზადება სსრ კავშირში პრეზიდენტ რეიგანის მომავალი ვიზიტისათვის.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ ამ ვიზიტის შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინტენსიურად წარიმართება ერთობლივი მუშაობა საკითხებისა და დოკუმენტების მომზადებისათვის, რომლებიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრის შინაარსს.

სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ საკითხები, რომლებიც უახლოესი თვეების დღის წესრიგს შეადგენს.

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი. თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გააცნეს ინფორმაცია და გამოთქვეს რწმენა, რომ იგი რატიფიცირებული იქნება, თუმცა, ბუნებრივია, უკვე საჭირო გახდა და კიდევ იქნება საჭირო ახსნა-განმარტებანი, რომლებიც დაგვარწმუნებს, რომ ხელშეკრულება საიმედო და თანასწორუფლებიანია.

რატიფიკაციას უკავშირდება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების დადების პერსპექტივები. მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა აზრი, რომ ჯერ კიდევ არის დრო, რათა საფუძვლიანად მომზადდეს ეს ხელშეკრულება. თუმცა საჭირო იქნება ბევრი მუშაობა — და არა მარტო ჟენევაში, არამედ უმთავრესად საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რადგან საქმე ეხება დიდ პოლიტიკას, და საჭიროა, რომ კონკრეტულ მორიგებებად მისი გადაქცევის ძირითადი მომენტები მუდამ იყოს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა თვალთახედვის არეში.

მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა მთელი რიგი ახალი იდეები სხვადასხვა სახეობის სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების კონკრეტულ ასპექტებზე, ამასთან მხედველობაში ჰქონდა ის, რომ მეტი დინამიკა მიეცეს მიმდინარე მოლაპარაკებას, ურთიერთმისაღებ გადაწყვეტათა ძიებას. ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანად განიხილეს საკითხი კონტროლის შესახებ, რომელიც ორივე მხარეს უფრო რთულად ესახება, ვიდრე საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში. განიხილეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვის საკითხი იმ სახით, როგორც იგი ხელმოწერილი იყო 1972 წელს. თანამოსაუბრეებმა დაადასტურეს თავიანთი ერთგულება იმ ფორმულირებისადმი, რომელიც მიიღეს 10 დეკემბერს ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებაში.

მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა გაკვირვება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამო, რომელიც აფერხებს საერთაშორისო კონვენციის შემუშავებას. წამოაყენა წინადადებანი, რომლებიც შეიძლება ერთობლივად დაამუშაონ მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრისათვის.

თანამოსაუბრეებმა დაადასტურეს თავიანთი შეფასება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების პრობლემის გადაჭრა. დათქვეს გააქტიურონ ვენის კონფერენციის მანდატის შემუშავების ღონისძიებანი. ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა მწვავედ დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ მიუღებელია „კომპენსაციის" გეგმები, რომლებმაც, თუ ისინი განხორციელდა, შეიძლება გააუფასურონ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებაც და საერთოდ ყველაფერი, რაც უკანასკნელ ხანს იყო მიღწეული საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

საფუძვლიანად განიხილეს რეგიონალური კონფლიქტები. ჩვენ — სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — მთელ მსოფლიოს უნდა ვუჩვენოთ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, საერთაშორისო ცხოვრების ამ მნიშვნელოვან სფეროში უკლებლივ ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესის ბალანსის საფუძველზე თანამოქმედების მაგალითი. უნდობლობა ჩვენი გულწრფელი მისწრაფებისადმი, რომ ბოლოს და ბოლოს, მოისპოს საერთაშორისო უშიშროების რეგიონალური კერები, დასავლეთში დაკავშირებულია იმასთან, რომ კვლავინდებურად ამის მთავარ „ბრალეუ-

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ჯ. შულცთან.

[illegible]

[illegible]

სამხრეთი წყნარი ოკეანის ფორუმის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებს

წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში უბირთვო ზონის შესახებ დადებული ხელშეკრულების (რაროტონგის ხელშეკრულების) 2 და 3 ოქმების საბჭოთა კავშირის მიერ რატიფიკაციის გამო

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი თანამიმდევრულად იღვწის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების შესაქმნელად. იგი მათ მიიჩნევს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად, რომლის მიზანია ბირთვული ომის საფრთხის შემცირება, ბირთვული სამზადისის გეოგრაფიული სფეროს დავიწროება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცება, რეგიონალურ დონეზე ნდობისა და უშიშროების კლიმატის შექმნა, რაც უფუოდ ხელს შეუწყობს დედამიწაზე ბირთვული იარაღის მოსპობის პროცესს. 2000 წლამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საბჭოთა პროგრამაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაშია ჩამოყალიბებული, საქმე არსებითად ეხება მთელი ჩვენი პლანეტის უბირთვო ზონად გადაქცევას. ასეთი ზონების შექმნა, სსრ კავშირის აზრით, დიდმნიშვნელოვანია როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით ეკოლოგიური უშიშროების განმტკიცების თვალსაზრისითაც. საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ამ ფუძემდებელ ამოცანებს შეესატყვისება სამხრეთ წყნარი ოკეანის ფორუმის სახელმწიფო გადაწყვეტილება წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში უბირთვო ზონის შექმნის შესახებ.

ჩვენი აზრით, უბირთვო ზონების შექმნის შესახებ მიღწეული მორიგებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მათი ნამდვილად უბირთვო სტატუსის საიმედო დაცვას. ამ პრინციპული პოზიციის გათვალისწინებით, 1986 წლის 15 დეკემბერს სსრ კავშირმა ხელი მოაწერა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში უბირთვო ზონის შექმნის ხელშეკრულების 2 და 3 ოქმებს.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ამ ზონის უბირთვო რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას და გაითვალისწინა რა რაროტონგის ხელშეკრულების მონაწილეთა სურვილები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა ხელშეკრულების 2 და 3 ოქმების რატიფიცირება და, ამგვარად, განაცხადა, რომ სსრ კავშირს განზრახული აქვს მთლიანად შეასრულოს ამ ოქმებით გათვალისწინებული მისი ვალდებულებები.

ხელმძღვანელობს რა ზემოაღნიშნული მიზნებით, საბჭოთა კავშირი იმედს გამოთქვამს, რომ რაროტონგის ხელშეკრულებას შეუერთდება სამხრეთი წყნარი ოკეანის ფორუმის წევრი ყველა სახელმწიფო და ბირთვულ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს ჯერ არ გაუკეთებიათ, მოუწოდებს გახდნენ რაროტონგის ხელშეკრულების გარანტები. ხელი მოაწერონ შესაბამის ოქმებს და მოახდინონ მათი რატიფიკაცია.

ა. გრომიკო,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

საზეიმო კონცერტი

მუსიკალურ-პოეტური კომპოზიციით გაიხსნა საზეიმო კონცერტი, რომელიც 22 თებერვალს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. მისმა მონაწილეებმა ხელოვნების ენით ასახეს სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე მდგომი საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვაჟკაცობა, გმირობა, დიდება. ნაწარმოებებში, რომლებიც დროის სიმბოლოდ იქცა, გაცოცხლდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ სამოცდაათი წლის მანძილზე განვლილი გმირული გზის ეტაპები.

კონცერტს დაესწრნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები, საზღვარგარეთელი სტუმრები და საზეიმო კრების სხვა მონაწილენი.

სახალხო მეურნეობა: თებერვლის გეგმა

დანაკლისი მერე ანაზღაურდება

თებერვლის დამთავრებამდე რამდენიმე დღე რჩება. ყოველდღიურად მატულობს შრომის ტემპი მრეწველობაში, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასულ გაერთიანებებსა და საწარმოებში. მათი კოლექტივები ახლა მაქსიმალურად ცდილობენ სტაბილური შედეგების მიღწევას, მაგრამ ყოველთვის მაინც ვერ აღწევენ მიზანს.

ხელისშემშლელი მიზეზებიდან ერთ-ერთი უმთავრესი საწარმოების მატერიალურ უზრუნველყოფას უკავშირდება. მომწოდებელი ორგანიზაციები დროულად ვერ უგზავნიან შემსრულებლებს საჭირო რაოდენობის ნედლეულსა და მაკომპლექტებელ ნაწილებს. ამის გამო შემსრულებელი საწარმო ალალატებს თავის მომხმარებელს. ეს უკანასკნელი კი უკვე არღვევს სხვა შემკვეთთან დადებულ ხელშეკრულებას და, ვინ იცის, რამდენ ორგანიზაციას გადაეცემა ეს ჯაჭვური რეაქცია.

სწორედ ასეთ დღეშია „საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანება. საქმე ის არის, რომ ამ გაერთიანებამ წარმოების მოცულობის ზრდის საერთო მაჩვენებლის მიხედვით არცთუ ცუდ შედეგს მიაღწია, მაგრამ ახლებური მუშაობის პირობებში იანვარში აქ ვერ უზრუნველყვეს 12,4 ათასი ცალი მცირე სიმძლავრის ძრავის გამოშვება.

ასეთ საქმის ვითარებაზე უკვე იყო ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტის" 13 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ მიმოხილვაში და ამ საკითხს შეიძლება აღარც დავბრუნებოდით, რომ მდგომარეობას გაუმჯობესება დასტყობოდა, მაგრამ არა. თებერვალში ამ დანაკლისს კიდევ დაემატება ასობით ძრავა.

ზემოხსენებული მაკომპლექტებელი ნაწილების მომწოდებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარების რუსთავის საწარმო. „საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა გ. ბუგიანიშვილმა შეგვატყობინა, რუსთაველები დანაკლისის ანაზღაურებას კვარტალის დამლევისათვის გვპირდებიან. თუ ასე იქნება, კარგია, მაგრამ თებერვალს მაინც არაფერი ეშველება. შემკვეთი კვლავ დაღალატდება, გაუცრუვდება იმედი, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასული გაერთიანების კოლექტივი კი მატერიალურად დაზარალდება.

რა ზომებს იღებენ შინაგან საქმეთა სამინისტრო (მინისტრის მოადგილე გ. კვანტალიანი), მისი შესაბამისი სამსახური მდგომარეობის გამოსასწორებლად?

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

უყაირათო მეურნეობრიობას ზარალი მოსდევს

გაზაფხული მოახლოვდა, მაგრამ მეცხოველეობის გამოზამთრების პერიოდი კიდევ კარგა ხანს გასტანს. არცთუ ისე მალე დადგება ის დრო, როცა შესაძლებელი გახდება საძოვარზე ნახირის გაყვანა.

ამიტომ დაძაბული შრომითი დღეებია ახლა ფერმებში, პირუტყვის ბაგური კვების ამჟამინდელ პერიოდში, როცა ფურაჟის რესურსები ბევრგან სამყოფიც აღარა აქვთ, ფერმის პროდუქციის მატება გადამწყვეტწილად დამოკიდებულია საკვების ეფექტიან გამოყენებაზე. მაგალითად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ბოგდანოვკის, სიღნაღის, ახალქალაქის რაიონების მეურნეობებმა, სადაც საიმედოდ მოქმედებს საკვების საამქროები, ფურაჟს თერმულად ამუშავებენ და ულუფის ჯეროვნობას სრულფასოვანი მინარევებით აუმჯობესებენ, წლევანდელ თვე-ნახევარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტი ხორცი და რძე მიჰყიდეს სახელმწიფოს. მაგრამ რედაქციაში მოდის წერილები, რომლებიც მოწმობს, რომ ყველგან როდი იცავენ წესრიგს ფერმებში, მთელ ძალისხმევას არ ახმარენ იმას, რომ მთლიანად გამოიყენონ რესურსები დარგის გეგმაზომიერი განვითარებისათვის. მაგალითად, პირუტყვის ორგანიზებულ გამოზამთრებას ხელი დააკლეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ბოლნისის, ლანჩხუთის რაიონების მეურნეობებში, რომლებმაც წლეულს, თვე-ნახევარში შარშანდელთან შედარებით შეამცირეს ფერმის პროდუქციის წარმოება. ხორცის დამზადებაში ჩამორჩნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ადიგენის, გეგეჭკორის, წალკის და სხვა რაიონების მეცხოველეები, ხოლო წველადობამ იკლო ჭიათურის ზონის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურის, წულუკიძის, ბორჯომის, დმანისის, ვანის, ქარელის და სხვა რაიონებში.

ეკონომიკას დიდი ზარალი მიადგა სიღნაღის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოლნისის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის, კასპის, გურჯაანის, მცხეთის, თიანეთის რაიონების მეურნეობებში, რომელთა ფერმებმა პირუტყვის უხეირო მოვლა-პატრონობის და უყაირათო მეურნეობრიობის გამო სახელმწიფოს დიდძალი უხარისხო რძე ჩააბარეს. მაგალითად, წალკაში მეურნეობებმა უხარისხო და მეორე ხარისხის რძის ჩაბარებისათვის 390 ათასი მანეთი დაკარგეს, თეთრი წყაროს რაიონის მეურნეობებმა — 185 ათასი მანეთი, ლაგოდეხისამ— 107 ათასი.

ეს იმას მოწმობს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯეროვან გავლენას ვერ ახდენენ მეცხოველეობაში ინტენსიფიკაციის დაჩქარებაზე, იმაზე, რომ დარგში დაბანდებულ დიდძალ სახსრებს შესაბამისი უკუგება დროულად მოჰყვეს.

ახლა, როცა დღითი დღე ფართოვდება აგრომრეწვის მშრომელთა შორის შეჯიბრება სკკპ XIX კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის, მეცხოველეებს ბეჯითი შრომა მართებთ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება.

ვ. კასრაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

მეგობრულ ვიზიტად

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მიწვევით 23 თებერვალს მოსკოვიდან ბუდაპეშტში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკო და მისი თანმხლები პირნი ბუდაპეშტში ჩავიდნენ. აეროპორტში, სადაც აღმართული იყო სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები, მისასალმებელი ტრანსპარანტები, მას დახვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ნემეტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი, სხვა ოფიციალური პირნი.

პარლამენტის შენობის წინ გაიმართა საპატიო საბჭოთა სტუმრის შეხვედრის საზეიმო ცერემონია.

▼ ▼

მოსკოვიდან გაემგზავრა ჯ. შულცი

23 თებერვალს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი.

შერემეტიევო-1 აეროპორტში იგი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. მ. ვორონცოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მოსკოვიდან გაემგზავრა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საქმეებში კ. პაუელი.

წიგნაკი, რომელიც მთელ ტომებს უდრის

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოსვლის 140 წლისთავის გამო

შესრულდა 140 წელი კომუნისტთა პირველი პროგრამული დოკუმენტის, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოსვლიდან. მოცულობით მცირე, საქვეყნოდ სახელგანთქმული ამ ნაწარმოების წარუვალი მნიშვნელობის შესახებ ვ. ი. ლენინს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ „ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის: მისი სულისკვეთებით ცოცხლობს და მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი". და მართლაც, ისტორიას არ ახსოვს სხვა რომელიმე წიგნი, რომელსაც ესოდენ მძლავრი ზეგავლენა მოეხდინოს საკაცობრიო განვითარების მსვლელობაზე. მასში ჩამოყალიბებული იდეები იმთავითვე საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა დედამიწის ყველა კონტინენტსა და ქვეყანაში, შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა ბურჟუაზიას, მომავლის რწმენას უნერგავდა და სამოქმედო ენერგიას მატებდა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის აღმდგარ პროლეტარიატს, მშრომელთა უფართოეს მასებს.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტით" დამთავრდა მარქსიზმის — პროლეტარული იდეოლოგიის ფორმირების რთული პროცესი. „ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უღრმესად ყოვლისმომცველი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის — ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო ისტორიული როლისა".

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" უმდიდრესი შინაარსით, შეუვალი ლოგიკით, აზრის სისადავით და უზადო სტრუქტურით გამოირჩევა. იგი მოკლე წინასიტყვაობისა და ოთხი თავისაგან შედგება. პირველსა და მეორეში — „ბურჟუები და პროლეტარები", „პროლეტარები და კომუნისტები" გარკვეულია კაპიტალიზმის ისტორიული ადგილი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ობიექტური აუცილებლობა, უახლოესი და შორეული მიზნები, რომლებსაც კომუნისტები სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის პროცესში ისახავენ. ნაწარმოების მესამე და მეოთხე თავებში კი განსაზღვრულია კომუნისტების დამოკიდებულება სოციალიზმის სხვა სახეობებისადმი, აგრეთვე ოპოზიციური პარტიებისადმი, რითაც მათთან მიმართებით პროლეტარული პარტიის თეორიული აზრისა და პრაქტიკული მოქმედების თვისებრივ განსხვავებულობას ესმება ხაზი.

მაინც რამ მისცა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს საკაცობრიო ისტორიული განვითარების, კაპიტალიზმის შინაგანი ბუნებისა და მოძრაობის ტენდენციების ამოცნობის, მისი შემცვლელი კომუნისტური საზოგადოების მეცნიერული წინასწარხედვის შესაძლებლობა? იმან, რომ მოხდა უდიდესი აღმოჩენა — შემუშავდა ისტორიის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება.

ამ გაგებით ყოველი საზოგადოების, მათ შორის, ცხადია, კაპიტალისტური საზოგადოების არსებობასა და ცვალებადობას განსაზღვრავს არა იდეები და თეორიები, არა სუბიექტური ფაქტორები, როგორც ეს ადრინდელ მოაზროვნეებს ეგონათ, არამედ ცხოვრების მატერიალური პირობები, წარმოების წესი, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები, ამ უკანასკნელთა შორის კი, უწინარეს ყოვლისა, საკუთრებისა და მითვისების ფორმების განვითარების მოცემული დონე. პირველადია საზოგადოებრივი ყოფიერება, ხოლო მეორეული, მასზე დამოკიდებული — საზოგადოებრივი ცნობიერება, სწორედ ბაზისი — ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობა, შინაარსით ავსებს და მიმართულებას აძლევს ყოველი ეპოქის პოლიტიკურ და გონებრივ განვითარებას, ზედნაშენს და მის ცვალებადობას, საერთოდ. სწორედ ეკონომიკური წყობილებით აიხსნება საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, კლასობრივი ბრძოლა, მისი უმაღლესი გამოხატულება — სოციალური რევოლუცია, რის შედეგადაც ხდება გადასვლა ძველი წყობილებიდან ახალ წყობილებაზე.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გვიჩვენეს, რომ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი მთელი ძალით მოქმედებენ კაპიტალისტური წყობილების პირობებშიც, კაპიტალიზმი აგრეთვე აუცილებელი საფეხურია ისტორიული პროგრესის გზაზე. თავის დროზე, ფეოდალიზმთან შედარებით, კაპიტალიზმი პროგრესული წყობილება იყო. მან მოსპო ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემაფერხებელი ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, დაამკვიდრა კერძოკაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რითაც გიგანტურად განავითარა საზოგადოებრივი საწარმოო ძალები. მაგრამ ეს განახორციელა პროლეტარიატისა და სხვა მშრომელი მასების ექსპლოატაციის ხარჯზე. ღრმა წინააღმდეგობამ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის იჩინა თავი პროლეტარიატის მზარდ რევოლუციურ გამოსვლებში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ ამ მდგომარეობიდან არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა ერთისა. ეს არის კაპიტალისტური წყობილების დამხობა და მის ნანგრევებზე ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენება. მათი აზრით, ეს მსოფლიო-ისტორიული მისია თავისი მდგომარეობით და ინტერესებით ყველაზე პროგრესულ კლასს — პროლეტარიატს ეკისრება. მხოლოდ პროლეტარიატს — ბოლომდე თანამიმდევრულ რევოლუციურ კლასს შესწევს იმის უნარი, რომ მისი ავანგარდის — კომუნისტების ხელმძღვანელობით დაუპირისპირდეს ექსპლოატაციისა და უსამართლობის სამყაროს, მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება, ხორცი შეასხას სანუკვარ სოციალისტურ იდეალებს, რაზეც კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნეებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ძირეული იდეების შესაბამისად და ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკვალული გზით მიდის ამჟამად დედამიწის ერთ მესამედზე მეტი მოსახლეობა. ეს გზა აღფრთოვანებს მსოფლიოში მრავალმილიონიან მასებს კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის, მშვიდობისათვის საბრძოლველად, ახალ ძალებს მატებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საერთაშორისო მასშტაბით მოვლენათა განვითარებამ, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიულმა გამოცდილებამ საუკეთესოდ დაადასტურა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" თეორიული დასკვნების ჭეშმარიტება და ცხოველმყოფელობა. მსოფლიო ისტორიის ყველა პერიოდს, ვ. ი. ლენინის თქმით, მარქსიზმისათვის, რომელიც მთლიანი და სისტემატური სახით „კომუნისტური პარტიის მანიფესტშია" გადმოცემული, ახალი დადასტურება და ტრიუმფები მოჰქონდა.

ამითვე აიხსნება ღრმა სიძულვილი, რომელსაც ბურჟუაზია და მისი იდეოლოგიური მსახურები კომუნისტთა ამ პროგრამული დოკუმენტის მიმართ იჩენენ. ისინი ცდილობენ, რომ სახელი გაუტეხონ „კომუნისტური პარტიის მანიფესტს", ირწმუნებიან, თითქოს იგი მოძველდა, არ შეესაბამება დღევანდელ მდგომარეობასა და ვითარებას. თანამედროვე კაპიტალიზმი, მათი აზრით, ძირეულად განსხვავდება მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანების კაპიტალიზმისაგან, მან ტრანსფორმაცია განიცადა ჰუმანურობისა და დემოკრატიულობის მიმართულებით. მსჯელობენ იმის შესახებ, რომ თანამედროვე კაპიტალიზმის დროს კლასობრივი ანტაგონიზმის ადგილი საზოგადოებრივი ჯგუფების ჰარმონიულმა დამოკიდებულებამ დაიკავა, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფო ხალხის კეთილდღეობის სამსახურშია ჩაყენებული, ამიტომ მისი რევოლუციური დამხობის აუცილებლობა აღარ არსებობსო.

გასაგებია ბურჟუაზიული იდეოლოგების კლასობრივი მიზანდასახულება: მათ სურთ, რომ მშრომლები ჩამოაშორონ კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური შეცვლის ამოცანებს, იდეურად განაიარაღონ ისინი. მაგრამ როგორია ფაქტობრივი ვითარება?

ცხადია, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მართლაც გარკვეულწილად გაუმჯობესდა მშრომელთა შრომის პირობები და ანაზღაურება, მათი სოციალური უზრუნველყოფა.

ამ მხრივ, თანამედროვე კაპიტალიზმმა უკან მოიტოვა არა მარტო გასული საუკუნის, არამედ XX საუკუნის შუა ხანების კაპიტალიზმიც კი, მაგრამ ეს ცვლილებები, რომლებიც მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების და მსოფლიო სოციალიზმის მზარდი გავლენით მოხდა, ისევ და ისევ კაპიტალის ბატონობის შენარჩუნებისათვის არის გამიზნული და სულაც არ მეტყველებს მის ჰუმანურ ბუნებაზე.

კაპიტალიზმის გამუდმებული მანევრები ამ მიმართულებით არ ცვლის მთავარსა და არსებითს, იმას, რომ წარმოების საშუალებები კვლავ კაპიტალისტების, მსხვილი მონოპოლისტებისა და მათი გაერთიანებების საკუთრებას შეადგენს, ხოლო მაქსიმალური მოგების მიღება მშრომელთა ექსპლოატაციის ხარჯზე ხდება. ამ მანევრებით არ შეიძლება იმის მიჩქმალვა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია მზარდი კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ეკონომიკის შინაგანი არამდგრადობა, ციკლური და სტრუქტურული კრიზისები, უმუშევრობა და სხვა სოციალური უბედურებანი.

ცხადია, არც იმის თქმა შეიძლება, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" პასუხს იძლეოდეს ყველა კითხვაზე, რომელთა გადაწყვეტის საჭიროება ისტორიამ შემდგომ დააყენა. დროება იცვლება. ამ ნაწარმოების ზოგიერთი დებულება დასაზუსტებელი გახდა. ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა დააკონკრეტეს ისინი კლასობრივი ბრძოლის ისტორიული გამოცდილებისა და კაცობრიობის მოწინავე აზრის მიღწევების კვალობაზე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" მაშინ დაიწერა, როდესაც მარქსსა და ენგელსს არ ჰქონდათ შემუშავებული თვალსაზრისი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, მათ შეუძლებლად მიაჩნდათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში და, მაშასადამე, ვერც იქნებოდათ წარმოდგენა კაცობრიობის მომავალზე ორი მსოფლიო სოციალური სისტემის — კაპიტალიზმის და სოციალიზმის მსოფლიო სისტემების თანაარსებობის პირობებში. მაგრამ არც ეს ცვლის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" არსებას. ამ ნაწარმოების დებულებები კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების კანონზომიერებათა შესახებ დღესაც ინარჩუნებენ წარუვალ მნიშვნელობას. ისინი დიდი ხანია ხორცს ისხამს პრაქტიკულად რეალური სოციალიზმის საქმეებში, მაგრამ არა დოგმატურად, არამედ შემოქმედებითად, შეცვლილი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, მარქსიზმისათვის უცხოა მზა რეცეპტები, დოქტრინული შეზღუდულობა. „ჩვენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სრულებით არ ვუყურებთ მარქსის თეორიას, როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით".

ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში ამ დიადი მოძღვრების შემოქმედებითი ბუნების გამოხატულება და დადასტურებაა. ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის ეპოქაში ახალი დასკვნებითა და დებულებებით გაამდიდრა მისი ყველა შემადგენელი ნაწილი, შეიმუშავა სოციალიზმის მწყობრი კონცეფცია, რაც საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ მისი მშენებლობის გზებში, უკეთ გავიგოთ წარმოდგენები სოციალიზმის ყველასათვის მისაბაძ „მოდელზე", ამასთან, წინა პლანზე წამოვწიოთ მისი საერთო ჰუმანისტური და კოლექტივისტური ღირებულებანი, სოციალური სამართლიანობის მაღალი მოთხოვნები.

და ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნისა და დაჩქარების კურსს, რომლის ძირითადი მიმართულებებია რადიკალური ეკონომიკური რეფორმა და დემოკრატიზაცია, განსაკუთრებით იზრდება მარქსიზმის კლასიკოსთა თეორიული მემკვიდრეობის შესწავლისა და შემოქმედებითი გააზრების საჭიროება. ამ ფონზე რაოდენ აქტუალურად ჟღერს დღეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" დებულებები: კომუნისტთა მიზანია ისეთი ასოციაციის შექმნა, სადაც „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა", „დემოკრატიის მოპოვება ბრძოლით" და სხვ.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" სიცოცხლეს განაგრძობს ახალი საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეებში. იგი მარად იქნება უქრობი ჩირაღდანი დემოკრატიისათვის, მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ბ. ლუტიძე,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგე.

სასკოლო რეფორმა:

„არავითარი ეჭვი არ არის: ყველაფერი, რაც ეხება სკოლას, განათლებასა და აღზრდას, პირდაპირ არის დაკავშირებული სოციალიზმის განვითარებასთან, გარდაქმნასთან. უფრო მეტიც, მისი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა".

მ. ს. გორბაჩოვი.

„კომუნისტის" მრგვალი მაგიდა

ყოველდღიურობის ათასი წვრილმანით თუ მნიშვნელოვანი საზრუნავით გართულებს, ჩვენ დიდხანს არ გვესმოდა მისი ხმა.

გვეგონა, ყველაფერი თავისი წესით და რიგით მიდიოდა.

თუმცა ბევრი რამ თვალში არ მოგვდიოდა, რატომღაც ვფიქრობდით, რომ საქმეს სხვები მიხედავდნენ ან სულაც თავისით მოევლებოდა.

თვითდინებაზე საკმაო ხანს გვქონდა მიშვებული ცხოვრება.

სკოლა კი, მოგეხსენებათ, ცხოვრების გულის გულშია და შეუძლებელი იყო ადრე თუ გვიან ამ დინებას არ დანებებოდა იგი.

იმედის პირველი ნაპერწკალი სასკოლო რეფორმამ გაალვივა, მაგრამ მალე ვიგრძენით: გარდაქმნის რელსებზე გადასვლა ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო მეტისმეტად გაუჭირდა სკოლას.

კონსერვატიზმის მარწუხებისაგან სკოლის ხსნის გზა ისევ და ისევ არსებული ვითარების წრფელი, უკომპრომისო პარტიული შეფასებით უნდა დაწყებულიყო.

და ასეც მოხდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, რომელიც სულ ახლახან — გარდაქმნის პასუხსაგებ პერიოდში — გაიმართა და საგანგებოდ მიეძღვნა საშუალო და უმაღლესი სკოლის პრობლემებს, აღინიშნა: „...ვაჯამებთ რა რეფორმის წლების განმავლობაში განვლილ გზას, სწორი არ იქნებოდა, არ შეგვემჩნია მომხდარი ცვლილებები. მაგრამ კვლავ აქტუალურია სკკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოტანილი დასკვნა, რომ „ჯერ კიდევ ვერ დაგვაკმაყოფილებენ რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაციის ტემპი და სიღრმე". ეს ეხება მთავარს — განათლების შინაარსს, სწავლებისა და აღზრდის მეთოდებს. ჯერჯერობით აქ საქმე შემოიფარგლება ნაკლებ მნიშვნელოვანი ძვრებით. ცხადია განსხვავება საშუალო და უმაღლესი სკოლის ახლანდელ მდგომარეობასა და დინამიზმის ატმოსფეროს შორის, რომელიც სულ უფრო მეტად მოიცავს ქვეყანას. ხალხი გრძნობს ამას, და განგაშს ტეხს".

აი, რატომ არის, რომ ახლა ჩვენი სკოლა, მასწავლებლები, მთელი საზოგადოება უდიდესი ინტერესით ეცნობიან და შეისწავლიან პლენუმის მასალებს, პლენუმისა, რომლის გადაწყვეტილებები ნამდვილ საბრძოლო პროგრამად უნდა იქცეს ყოველი პედაგოგის, სახალხო განათლების სისტემის ყველა მუშაკის, თითოეული მოქალაქისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნის აწმყო და მომავალი.

როგორ ესახებათ სასკოლო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გზები ჩვენს მასწავლებლებს, რა კონკრეტული საკითხები აღელვებთ და აწუხებთ დღეს მათ ყველაზე უფრო?

აი, ამაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ რედაქციაში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და დედაქალაქის სკოლების წარმომადგენლები, სხვადასხვა თაობის მასწავლებლები.

პირველად სიტყვა მასწავლებლის ავტორიტეტზე, საზოგადოებაში მის როლსა და ადგილზე ჩამოვარდა.

ზარი, რომელიც

ესმა აბაევა, ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე: რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ნიშნავს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი უპირველესი საკითხი, რომელსაც პლენუმზე თავის გამოსვლაში მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი შეეხო, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი, მასწავლებლის სახელი და ღირსება იყო.

რა თქმა უნდა, გვჭირდება განათლების ახალი ორგანიზაციაც, ახალი პროგრამებიც, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაც, — თქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, — მაგრამ თუ არ გვეყოლება ნამდვილი მასწავლებლები, ადამიანები, რომლებიც ცოდნას, სულსა და გულს არ იშურებენ ჩვენი შვილებისათვის, ყოველივე ეს შეიძლება მხოლოდ ფორმალურ სიახლედ დარჩეს.

მასწავლებელი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირია.

შეუძლებელია ყოველი ჩვენგანის კანონიერი სიამაყის გრძნობას არ იწვევდეს მასწავლებლის მოწოდებისა და დანიშნულების ასეთი მაღალი შეფასება, მაგრამ, მეორე მხრივ, ძნელი შეუძლებელია, უკიდურესად არ გვაღელვებდეს და არ გვაფიქრებდეს ის გარემოება, რომ დღესდღეობით მასწავლებლის ავტორიტეტი რამდენადმე შებღალულია. მის სიტყვას, მის გარჯას საზოგადოებაში არა აქვს ის წონა და ფასი, ურომლისოდაც ძალზე გაუჭირდება თავისი მაღალი დანიშნულების გამართლება.

მაია ინასარიძე, თბილისის 112-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: იქნებ გადაჭარბებულიც ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მე ასე ვფიქრობ: საზოგადოების თითქმის ყველა ფენის დამოკიდებულება მასწავლებლისადმი ჩვენს სინამდვილეში სიტყვისა და საქმის დაშორების ერთი მაგალითია. სხვათა შორის, პედაგოგების საერთო გულისტკივილი იყო გამოხატული ამის თაობაზე თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის ლეილა კაჭარავას წერილში, რომელიც „კომუნისტმა" ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა; საზოგადოება უნდა შემობრუნდეს მასწავლებლისაკენ!

ალბათ სჯობს, თავი დავანებოთ ჩვენ შორის არსებული ერთი-ორი უღირსის შესახებ ისე ლაპარაკს, თითქოს ეს საერთო უბედურება იყოს...

სერგო ვარდოსანიძე, თბილისის პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: აშკარაა, საზოგადოების ერთ ნაწილს თანამედროვე სკოლასა და მასწავლებელზე უარყოფითი აზრი აქვს. მეორე ნაწილს საერთოდ ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. ხსენებულიც მრავლად გვყავს, რომლებიც მორიდებით, მაგრამ მაინც ამბობენ, სკოლას დახმარება და თანადგომა სჭირდება, ჩვენმა კინოხელოვნებამ ფილმ „იმერული ესკიზებით" დაადასტურა თავისი პოზიცია: მასწავლებელი — რუტინა, ჩამორჩენილი, კონსერვატორი...

ჟურნალისტი: ისე არ გამოვიდეს, ცეცხლზე ნავთს ვასხამდე, მაგრამ, მოგეხსენებათ, უმიზეზოდ და უსაბაბოდ არაფერი ხდება.

ს. ვარდოსანიძე: მე იმას როდი ვამბობ, რომ სრულებით არ გვყავს ასეთი მასწავლებლები, მაგრამ რატომ არ ცდილობენ თქვენ მიერ ნაგულისხმევი მიზეზ-საბაბის გარკვევას?

ახლა ხომ ყველა აღიარებს, რომ ეგრეთ წოდებული კონვეიერული წესით მასწავლებლების გამოშვებამ რაოდენობრივი მხარე დააკმაყოფილა, ხოლო, რაც შეეხება ხარისხს...

მ. ინასარიძე: არავინ უარყოფს, მასწავლებელთა კადრები სერიოზულ გადახალისებას მოითხოვს, მაგრამ განა ისიც მართალი არ არის, რომ შვილის ვითომ „უკანონოდ დაჩაგვრის" გამო ბევრი მშობელი შეგნებულად სვრის ლაფში მასწავლებლის სახელს! ზოგჯერ ცილისწამებასაც კადრულობენ. ყველაზე დამანანი მაინც ის არის, რომ ასეთებს ხშირად გულახდილად უსმენენ და კვერსაც უკრავენ. პედაგოგზე აუგის თქმას ბავშვებთანაც არ ერიდებიან.

ჩვენი მოსწავლეები იმასაც ხედავენ, რომ იუბილეებზე, საზეიმო სხდომებსა თუ საგასტროლოდ ჩამოსული თეატრალური კოლექტივების სპექტაკლებზე, საპრემიერო წარმოდგენებზე დასწრების პატივს მათ მასწავლებლებს არავინ მიაგებს.

არ ვიცი, რა პროფესიის ხალხი იყო დარბაზში ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე, მაგრამ ჩემი კოლეგების, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის რომ იქ ადგილი არ გამოიძებნა, ეს ცხადია.

ჩვენ არც ხელმოწერით გამოცემებზე მიგვიწვდება ხელი და არც ლიმიტირებულ ჟურნალ-გაზეთებზე. გვინდა კი, რომ მასწავლებელი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდეს.

ან: რატომ არ შეიძლება თბილისის საპატიო მოქალაქეთა შორის მასწავლებელიც ვიხილოთ?

ს. ვარდოსანიძე: საზოგადოების ერთი ნაწილის პოზიცია სკოლისადმი უტილიტარიზმის ფარგლებს არ სცილდება, თუ სკოლის კურსდამთავრებულმა უმაღლესი სკოლის მესვეურთა მიერ გართულებული მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარა ერთ წელს, მეორე წელს, მშობელი ზურგს აქცევს სკოლას და შვილი მიჰყავს რეპეტიტორთან, რომელმაც კარგად იცის მისაღები გამოცდების სპეციფიკა და ამზადებს კიდეც აბიტურიენტს.

არავინ დაეძებს, როგორი მოქალაქეობრივი პრინციპები ჩამოუყალიბა ახალგაზრდას სკოლამ, შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ უმაღლესში მოწყობაა.

როდის ახსენდება საზოგადოებას სკოლა ან მისი პრობლემები? — მაშინ, როცა მოახლოვდება მასწავლებელთა ყრილობა ან ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმი იყო.

მართალია, მასწავლებელი თავის ავტორიტეტს პირველ ყოვლისა თვითონ ქმნის, მაგრამ საზოგადოებისგანაც დიდი მხარდაჭერა სჭირდება.

თინა ოსაფაშვილი, ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მასწავლებლისა და საზოგადოების ურთიერთობის ამგვარი გამწვავების მიზეზი იმაშიც ხომ არ უნდა ვეძებოთ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა, დიდი ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, მასწავლებელში „საწანახელოდ" მოსამქე დაინახა?

„საქმე და მოსამქე ერთმანეთს არ უნდა დასცილდესო" — ბრძანებდა იგი და, როცა მოსწავლეებს ამ აზრს განვუმარტავთ, თავად უნდა ვამტკიცებდეთ მაგალითით ჩვენი ცოდნითაც და ზნეობითაც.

დავით ბონდაური, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი: სავსებით ვიზიარებ ქალბატონ თინას მიერ გამოთქმულ აზრს, მასწავლებელი უნდა იყოს ყოვლისმხრივ განათლებული, მაღალი ზნეობის, სპეტაკი, მართალი, მომთხოვნი და ობიექტური პიროვნება.

ჩვენდა საბედნიეროდ, თითო-ოროლა როდი გვყავს ასეთი პედაგოგი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ უკანასკნელ ოც-ოცდაათწლეულში მასწავლებლის პროფესიამ საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის თვალში საგრძნობლად დაკარგა ავტორიტეტი.

განა დამაფიქრებელი არ არის, ის, რომ პედაგოგიური ინსტიტუტების სასწავლო ჯგუფებში ზოგან ერთი ან ორი ვაჟია, დანარჩენი გოგონები. სკოლებშიც, რა თქმა უნდა, პედაგოგი ქალების სიჭარბეა. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მჭირდება, სამწუხაროდ, ჩემი სკოლის მეზობელ, 88-ე საშუალო სკოლაში მხოლოდ ერთი მასწავლებელია მამაკაცი.

არადა, ამაზე სიტყვის გაგრძელებაც ზედმეტად მიმაჩნია, სკოლაში მასწავლებელთა ნახევარი თუ არა, 30-40 პროცენტი მაინც მამაკაცები უნდა შეადგენდნენ.

პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის დაქვეითების უმთავრესი მიზეზი, ჩემი აზრით, წინა ათწლეულებში ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში გამეფებულ ნეგატიურ მოვლენებში უნდა ვეძიოთ. მოგეხსენებათ, ეს ის დრო გახლდათ, როცა ბევრი ოჯახი უხვი, იოლი შემოსავლით მდიდრდებოდა და ჩვენი მოსწავლეებიც თავიანთი საქმოსანი მშობლების მაგალითით იზრდებოდნენ. ბუნებრივია, მოსწავლე ახალგაზრდობასაც და მათ მშობლებსაც მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისა და, საერთოდ, განათლებისა და სწავლისადმი მცდარი, უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდათ. ახალგაზრდობის დიდი ნაწილიც მეცნიერებისა და სწავლის შეძენისადმი უარყოფითად განეწყო. რაღა თქმა უნდა, ასეთებს არც მეცნიერებათა მქადაგებლების მასწავლებლებისადმი [illegible] ათ დიდი სიმპათიები. მით უმეტეს, რომ [illegible] გამდიდრებულთა შვილები იოლად იკაფავდნენ გზას უმაღლესი სასწავლებლებისაკენ „დიპლომების მოსაპოვებლად", წესიერსა და მცოდნე ახალგაზრდას კი გაცილებით უჭირდა.

ნეგატიურმა მოვლენებმა უშუალოდ სკოლაშიც შეაღწია, მათ არაერთი ვაი-პედაგოგიც ჩაითრია და ამან, ცხადია, ჩრდილი მიაყენა ჩვენს წმიდათაწმიდა პროფესიას.

მასწავლებლის ავტორიტეტის დაქვეითების კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი, უეჭველად, სკოლებში გამეფებული პროცენტომანია, „სამიანის" გაუფასურება, მეორეწლიანობის ხელოვნური მოსპობაა.

და კიდევ ერთი რამ, თუ შეიძლება: დღემდე ვერაფრით ამიხსნია, რატომ აქვთ ამხელა უპირატესობები სკოლის ოქროს მედლით კურსდამთავრებულებს უმაღლესში შესვლისას! მედალი სკოლაში წარჩინებით სწავლის ჯილდოა და მის მფლობელს სულაც არ უნდა სჭირდებოდეს რაღაც შეღავათები იქ, სადაც კონკურსია იმ მიზნით, რომ ცოდნის მიხედვით შეარჩიონ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი.

ჟურნალისტი: როგორადაც უნდა გვაფიქრებდეს ჩვენი სკოლის პრობლემები, რა თქმა უნდა, თავისთავად შეუძლებელია არ გვახარებდეს ის ფაქტი, რომ ჩვენ ახლო ვართ მიზანთან — განვახორციელოთ ქვეყანაში საყოველთაო საშუალო განათლების კანონი.

ხომ გვაქვს სკოლები, რომლებიც რიგიანად წყვეტენ ამ მეტად რთულ ამოცანას!

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უმრავლეს სკოლებში წარმატების პროცენტებს გამოეკიდნენ, გაუფასურდა ნიშანი, ერთ ტაფაში მოექცა მონდომებული, ნიჭიერი და დღევანდელი მოთხოვნებისათვის სრულიად მოუმზადებელი, სწავლაზე აშკარად გულაცრუებული მოსწავლე.

ბევრმა, ძალიან ბევრმა მასწავლებელმა დათმო პრინციპები, რომლებიც მანამდე წმიდათაწმიდად იყო მიჩნეული, რაკი დაინახა, რომ მისი და მისი კოლეგების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი არსებითად აკადემიური წარმატების პროცენტული მაჩვენებელი გახდა. სკოლაც ასე ფასდებოდა და ცალკეული პედაგოგის პროფესიული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები.

მ. ინასარიძე. აკადემიური წარმატების პროცენტულ მაჩვენებელს გამოკიდებამ მოიტანა სიყალბის, მოჩვენებითობის, თვალისახვევის ზამში ტენდენცია.

ეგრეთ წოდებული „წამატებები" სკოლებშიც დამკვიდრდა, რამაც, მართლაც რომ, აუნაზღაურებელი მორალური ზიანი მოგვიტანა.

მხოლოდ სკოლის საქმიანობაში ჩაუხედავი კაცი თუ იტყვის, არ არსებობს ცუდი მოსწავლე, არსებობს ცუდი მასწავლებელიო.

არა, ცუდი მოსწავლე, სამწუხაროდ, ისევე არსებობს, როგორც ცუდი მასწავლებელი. ნუ მოვიტყუებთ თავს. ასპროცენტიანი აკადემიური წარმატების მიღწევა გართულებული პროგრამების, უხარისხო სახელმძღვანელოებისა და გადატვირთული კლასის პირობებში, მე მგონი, შეუძლებელიც კია.

ივეტა ლალიძე, თბილისის 28-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: პირადად მე მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმად უპირველესად მის ზნეობრივ სახეს და ცოდნას მივიჩნევ, შემდეგ ცოდნის გადაცემის, მაგალითის მიცემის, შემოქმედებითი ძიებისა და თანამშრომლობის უნარს, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას.

სკოლის მუშაობა უნდა შეფასდეს სწავლის ხარისხისა და მოსწავლეთა ზნეობრივი სახის მიხედვით, მასწავლებელთა ინტელექტუალური დონით, სკოლის სათანადო ტექნიკური აღჭურვილობითა და იმითაც, თუ როგორი პიროვნება აღზარდა, როგორ გამოადგა მისი აღზრდილი ქვეყანასა და საკუთარ თავსაც...

ჟურნალისტი: თქვენეული კრიტერიუმებით, რა თქმა უნდა, გაცილებით ძნელია მასწავლებლის შრომისუნარიანობის შეფასება. პროცენტები კი, იოლიცაა, აიოლებდეს „ზემდგომთა" საქმესა და საზრუნავს.

თ. ოსაფაშვილი: თუ სწორად გავიგე და საკითხი, რომელზეც ახლა ვმსჯელობთ, მასწავლებელთა ატესტაციასაც გულისხმობს, პირდაპირ უნდა მოგახსენოთ: დღემდე მოქმედი ატესტაცია ფორმალიზმის ზენიტად მიმაჩნია. ასე განუკითხავად არსებითად პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით წოდებების ჩამორიგება დანაშაულია!

ესმა აბაევა.

მაია ინასარიძე.

სერგო ვარდოსანიძე.

თინა ოსაფაშვილი.

მარიამ ბაშინჯაღოვი, თბილისის 112-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ნამდვილად არ შეიძლება. ისე გაუბრალოებულად და გამარტივებულად შეფასება მასწავლებლის შრომისა, როგორც ახლა ხდება.

მხოლოდ ჭეშმარიტად განათლებულ მასწავლებელს შეიძლება ჰქონდეს უტყუარი პედაგოგიური ალღო, ნოვატორის, მაძიებლის, შემოქმედის უნარი — ეს უმტკიცესი საძირკველია, რომელზეც შენდება მასწავლებლის მაღალი შეგნება და დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგული დამოკიდებულება. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი პირადი კულტურაც.

არა მგონია, სწორად იქცეოდნენ, როცა მასწავლებლობის უფლებას აძლევენ იმას, ვისაც თავისი შვილი ვერ აღუზრდია ღირსეულად.

ჟურნალისტი: თქვენი გულისტკივილი, ის, რასაც ამ წუთას ბრძანებთ, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრის სისწორეს, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოითქვა. განათლების უწყებებმა და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ არსებითად მთელი თავიანთ ძალისხმევა თვალის გასახა...

...დელობით დარგში. ისინი კი ამისთვის თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ.

ამ თვალსაზრისით ძალზე სასარგებლო ღონისძიებად მესახება რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და თბილისის განათლების სამმართველოს წამოწყება. მათ შემოიკრიბეს აქტივი და ფართო საჯაროობით მოაწყვეს რაიონების მთავარი სპეციალისტების არჩევნები საგნების მიხედვით.

შემუშავდა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა სასკოლათშორისო, რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური გაერთიანებების დროებითი დებულება, რომლის მიხედვითაც სკოლისადმი, მასწავლებლისადმი უშუალო დახმარება ევალებათ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, მათს მთავარ სპეციალისტებს.

ჟურნალისტი: ალბათ ღირს ცალკე შევჩერდეთ ისეთ საკითხზე, როგორიც არის სკოლა და თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერება, თუმცა ამის შესახებ ცოტა რამ ზემოთაც ითქვა.

ეს საკითხი, ცხადია, თავისთავად უკავშირდება სასკოლო სახელმძღვანელოების დონესა და ხარისხს, იმას, თუ როგორ და რამდენად აკმაყოფილებს დღეს...

მაგალითად, წლეულს X-XI კლასების მოსწავლეთა ნახევარს არ შეხვდა ალგებრისა და ანალიზის საწყისების სახელმძღვანელოები.

არდა ლაკობა, სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი: თქვენ უფროსკლასელებზე ბრძანეთ, ახლა წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როცა უსახელმძღვანელოდ რჩებიან პატარები.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ახალი სახელმძღვანელო სხვა სიკეთესთან ერთად იმიტომაც სჭირდება მოსწავლეს, რომ იგი ახარებს მას, მატებს სწავლის, მეცადინეობის სტიმულს.

სავსებით ვიზიარებ პატივცემული შოთა ამირანაშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ ჩვენს სკოლებს ძალზე აკლიათ თვალსაჩინოებები.

მ. ბაშინჯაღოვი: სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობა თავის გამოხატულებას პოულობს პედაგოგიკაში, ამიტომ პედაგოგიური მუშაობის ეფექტიანობა, პედაგოგიკის მეცნიერების დაუფლება სადღეისო და საშური ამოცანაა.

ვფიქრობ, უმიდღოდ მოძველდა პედაგოგიკის მოქმედი სახელმძღვანელოები. დღევანდელი მეცნიე...

...ასევეა ისტორიაში, გეოგრაფიაში. იქნებ აღდგენილიყო რესპუბლიკის ძველი გამოცდილება, როცა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების შედგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ცნობილი მეცნიერები. თუ ასე იქნება, მაშინ სამეცნიერო დაწესებულებანი აღარ განუდგებიან განზე სკოლის პრობლემებს. მათ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში ოპერატიულად უნდა აისახოს მეცნიერული სიახლეები რესპუბლიკის ყველა თავისებურების გათვალისწინებით.

შ. ამირანაშვილი: ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების გადაუდებელი საზრუნავია ისიც, რომ მეცნიერულად დაასაბუთოს დიფერენცირებული სწავლების ფორმები, გვიჩვენოს მასზე გადასვლის გზები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. დროა, პრინციპულად დააყენოს საკითხი ამგვარად: ყველამ ისწავლოს თუ მხოლოდ იმან, ვისაც შეუძლია და აქვს ამის სურვილი? ამასთანავე უნდა გამოიკვეთოს პრობლემა: ვინ შეიძლება იყოს მასწავლებელი?

ალბათ, დადგა დრო, ერთ ტაფაში არ იხრაკებოდნენ უნიჭო და ნიჭიერი მოსწავლეები. ამგვარი სწავლით ორივე მხარეს ვაწამებთ და საბოლოოდ ვერც ერთი...

მოგვიხმობს ყველას

„პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს საშუალო და უმაღლესი სკოლის წარმატებულ გარდაქმნას, საბჭოთა ადამიანის, პიროვნების ფორმირების მთლიანი პროცესის უმნიშვნელოვანესი რგოლის—უწყვეტი სისტემის გაშლას."

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებიდან.

...ბი, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულს ცხოვრებაში უფრო მეტად გამოადგება. ჩვენ ახლა იმდენად მძლავრი ინფორმაცია გვაქვს, რომ აღარ არის აუცილებელი პროგრამებში გვქონდეს თეორიულ საკითხთა სიუხვე.

...სნება. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მგრძნობიარე ნერვს, მომავალ თაობას ეხება, ამიტომ ცხოვრებისაგან მისი ჩამოშორება შეუწყნარებელია.

იქნებ ზედმეტი სითამამეა, მაგრამ, ვფიქრობ, ზოგს ავიწყდება, რომ მეცნიერება მხოლოდ ოჯახ...

...ნულად ერწყმის ურთიერთობათა სულისკვეთებასა და შინაარსს ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში.

ა. ლაკობა: როცა ნოვატორი მასწავლებლების შემოქმედებას აანალიზებ, როცა ფიქრობ „თანამშრომლობის პედაგოგიკის"...





დავით გონდაური. მარიამ ბაშინჯაღოვი. შოთა ამირანაშვილი. არდა ლაკობა.

კარგად მახსოვს განათლების სფეროს ერთი ღვაწლმოსილი მუშაკის ნათქვამი: ბავშვს „ორიანს" ნიშნისმოგებით კი არ უნდა უწერდე, ის უნდა ხედავდეს, რომ მასზე უფრო მისი „ორიანი" შენ გტკენს გულსო.

...აღზრდაზეა გამახვილებული ყურადღება.

რაღა თქმა უნდა, მოსწავლეთა შრომა მიზანმიმართული უნდა იყოს, უკავშირდებოდეს ცხოვრების რეალურ მოთხოვნებს, სარგებლობა მოჰქონდეს საზოგადოებისა და ოჯახისათვის...

...თქვენი გულისტკივილი, მაგრამ შეუძლებელია, ჩვენი სკოლის ცხოვრებაში სასიკეთო ტენდენციებს ვერ ვხედავდეთ. ავიღოთ თუნდაც ის, რომ ასე დაუფარავად, შეულამაზებლად გამოაქვს ხალხს სამზეოზე მისი ყოველი ნაკლი. განა ესეც მონაპოვარი არ...

უნდა გვახსოვდეს, რომ პირველყოვლისა მშობლებთან თანამშრომლობით და არა მათთან უსარგებლო პაექრობით მივაღწევთ საერთო მიზანს. ჩვენ კი მათ სკოლის კარები დავუხშეთ და მხოლოდ შაბათობით ვაძლევთ ჩვენთან შეხვედრის უფლებას. რატომ...

მრგვალი მაგიდის მონაწილე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 123-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ივეტა ლალიძე შეხვედრებისას ესაუბრება მეცხრეკლასელთა ერთ ჯგუფს.

ვ. გენზიურის ფოტო.

...სტიმულირება, მუშაობა ახალ პროგრამებზე. რეფორმის განხორციელებისათვის თვისებრივად განსხვავებულ, შესანიშნავ პირობებს ქმნის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

მ. ინასარიძე: სკოლის წინაშე მდგომი უაღრესად პასუხსაგები ამოცანები, ცხადია, წარმატებით ვერა და ვერ გადაიჭრება მთელი საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

...დიდად შეუწყობს ხელს სკოლასთან ოჯახის, საზოგადოების კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებასა და დამკვიდრებას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სკოლის ცხოვრების დემოკრატიზაციას.

საუბარს უძღვებოდა „კომუნისტის" მიმომხილველი

თეიმურაზ მეტრეველი.

უცხოეთში

საკლესი იუწყება 23 თებერვალი

ნაყოფიერი მოლაპარაკება

ჯ. შულცი მოსკოვში გამართული შეხვედრის შესახებ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულცს მიაჩნია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ე. ა. შევარდნაძესთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკება „ნაყოფიერი და სასარგებლო" იყო.

ეს განაცხადა პრეზიდენტის თანაშემწემ პრესის საკითხებში მარლინ ფიცუოტერმა. მან თქვა, რომ ჯორჯ შულცმა მოსკოვის შეხვედრის შედეგებზე პრეზიდენტ რეიგანს ინფორმაცია მიაწოდა ტელეფონით, აგრეთვე გაუგზავნა მას „მოხსენებითი დეპეშა". შულცი მოსკოვიდან ბრიუსელს მიემგზავრება, სადაც საბჭოთა ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შედეგებს გააცნობს ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებს, აღნიშნა ფიცუოტერმა.

◆ **აშშ**

გადადგა მინისტრი

ვაშინგტონი. გადადგა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრი ჯეიმზ უები, რომელსაც ეს პოსტი 1987 წლის აპრილიდან ეკავა. პრეზიდენტ რეიგანისადმი გადადგომის შესახებ მიწერილ წერილში უები არ დაუმალავს, რომ პოსტიდან მისი გადადგომის მიზეზია სერიოზული დისპუტი ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის ახლანდელ მინისტრთან ფრენკ კარლუჩისთან სამხედრო-საზღვაო ძალების ბიუჯეტის შემცირების საკითხის გამო. სამხედრო-საზღვაო ძალების საჭიროებებისათვის ხარჯები, 1989 საფინანსო წლის გეგმების მიხედვით, უნდა შეიკვეცოს 12 მილიარდი დოლარით. პენტაგონი კონგრესის ზეგავლენით, რომელიც ეძებს ფედერალური ბიუჯეტის ვეებერთელა დეფიციტის შემცირების გზებს, იძულებული იყო უხალისოდ დათანხმებოდა მის საჭიროებებზე უზომო ხარჯების შეზღუდვასაც და 1992 წლისათვის გადაედო სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდების რიცხვის გადიდების გეგმების განხორციელება. უების გადადგომა ძალაში შევა როგორც კი მას დაათანხმებს რეიგანი.

ფაქტის კომენტარი

მოსმენა განახლდა

ერთი კვირის შესვენების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში განახლდა მოსმენა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების გამო.

მოსმენა მიმდინარეობს სენატის საგარეო საქმეთა და შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტებში, აგრეთვე სენატის დაზვერვის სპეციალურ კომიტეტში. მოსმენის დროს სწავლობენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების ყველა ასპექტს და ამუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც გადაეცემა სრული შემადგენლობის სენატს, როცა იქ დაიწყება ამ დოკუმენტის განხილვა. ამერიკის კონსტიტუციის თანახმად, კონგრესის ზედა პალატამ „რჩევა და თანხმობა" უნდა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

მოსმენის დროს შესვენება იმიტომ გააკეთეს, რომ ადმინისტრაციასა და სენატის ხელმძღვანელობას შორის დავა წარმოიშვა. მისი არსი ის იყო, რომ სენატორებმა თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტისაგან მოითხოვეს გარანტიების მიცემა, რომ საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას განუხრელად დაიცავენ. ეს პრობლემა იმიტომ წარმოიშვა, რომ უკვე არის პრეცედენტი — როგორც ცნობილია, ადმინისტრაცია ახლა ცდილობს გადასინჯოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ, რათა ხელ-ფეხი გაიხსნას „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მოსმენის განახლების გადაწყვეტილება სენატის ხელმძღვანელობამ მიიღო მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მდივანმა აღუთქვა სენატს, რომ ახლანდელი ადმინისტრაცია საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას დაიცავს მისი ახლანდელი სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ სენატის კომიტეტებში თითქმის ყველა გამოსული იწონებს ხელშეკრულებას იმ სახით, როგორც მას ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, და მოუწოდებენ სენატს თავი შეიკავოს შესწორებებისა და შენიშვნების მიღებისაგან, რომლებიც ჩაფუშავენ შეთანხმების რატიფიკაციას. სინამდვილეში პენტაგონის წარმომადგენლები მოსმენას იყენებენ იმისათვის, რომ მიაღებინონ ნატოს ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების ზრდის თავიანთი გეგმები იმ რაკეტების „კომპენსაციის" საბაბით, რომლებიც ხელშეკრულების შესაბამისად ლიკვიდაციას ექვემდებარებიან.

ამერიკის პრესის პროგნოზებით, მოსმენა სენატის კომიტეტებში გაგრძელდება მარტ-აპრილამდე, როცა დაგეგმილია ხელშეკრულებას ხმა მისცენ სრული შემადგენლობის სენატში. შეთანხმების მოსაწონებლად საჭიროა 67 ხმა, ანუ სენატის შემადგენლობის ორი მესამედი. ადმინისტრაციის უკანასკნელი შეფასებებით, ახლა 12-15-ზე მეტი სენატორი მზად არის გაილაშქროს ხელშეკრულების წინააღმდეგ. როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, ხელშეკრულებას მხარს უჭერს ამერიკელთა 70 პროცენტზე მეტი.

სენატში მოსმენა რთული იქნება, საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მოწინააღმდეგნი კვლავ ცდილობენ დაატორპედონ იგი „შესწორება-მკვლელების" მეშვეობით, რომლებიც მოითხოვენ ახალ მოლაპარაკებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. სენატორმა ჰელმსმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეიტანოს ამგვარი შესწორებანი, მათი მოწონებისათვის კი საკმარისია ხმის უბრალო უმრავლესობა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **კიტო.** ეკვადორის ქალაქ კუენკაში გაიხსნა სუბრეგიონალური ანდის ჯგუფის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეექვსე შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობენ ბოლივიის, ვენესუელის, კოლუმბიის, პერუსა და ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრები. ისინი განიხილავენ საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებს, საგარეო დავალიანების პრობლემებს, რეგიონალური სოლიდარობისა და ინტეგრაციის განმტკიცების გზებს, აგრეთვე ნარკოტიკების კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებს.

◆ **პარიზი.** საფრანგეთში გაიმართა მშრომელთა მოქმედების საერთო-ეროვნული დღე საწარმოში შრომის პირობების შემდგომი გაუარესების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. იგი მოეწყო ქვეყნის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — შრომის საყოველთაო კონფედერაციის ინიციატივით.

◆ **ბელგრადი.** იუგოსლავიის დედაქალაქში გაიხსნა სამეცნიერო ფილმის მე-15 საერთაშორისო ფესტივალი „ბელგრადი-88". ერთი კვირის მანძილზე მაყურებელი ნახავს 28 ქვეყნის, აგრეთვე იუნესკოს, 140 ფილმსა და სატელევიზიო პროგრამას.

◆ **ლონდონი.** ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში საკუთარ ბაღში ახლახან უჩვეულო რამ იპოვა დიზაინერმა პიტერ ტოლდოსიუმ. პატარა ნაკვეთში მუშაობისას იგი წააწყდა... რომელიღაც არსების გაქვავებულ ნაწილს. მხატვარმა მაშინათვე შეაფასა ძვლების უჩვეულო ფორმები. ეროვნული ისტორიული მუზეუმის მუშაკებმა გულმოდგინე მუშაობის შემდეგ გამოარკვიეს, რომ იგი იყო უძველესი ჰიპოპოტამის ჩონჩხის კარგად შენახული ფრაგმენტი. ეს ცხოველი, მდინარე თემზის აუზში ბინადრობდა დაახლოებით 180 ათასი წლის წინათ.

◆ **ტოკიო.** იაპონიამ და ავსტრალიამ მიაღწიეს შეთანხმებას ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული „მომავლის ქალაქის" მშენებლობის საკითხზე. დამპროექტებელთა ჩანაფიქრის შესაბამისად, „მომავლის ქალაქის" მთავარი ფუნქცია იქნება უჩვენოს მეცნიერებისა და ტექნიკის, მრეწველობისა და სოციალური ცხოვრების განვითარების უახლესი მიმართულებანი, რომლებიც შეიძლება გაბატონდეს XXI საუკუნეში. ახალი ქალაქის საფუძველი უნდა გახდეს უაღრესად რთული ტექნოლოგიის დარგში გამოკვლევების განხორციელებისათვის განკუთვნილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ეკონომიკური და კულტურული გაცვლის სპეციალური ცენტრები. სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, „მომავლის ქალაქის" შექმნას, რომლის მოსახლეობა 100 ათასი იქნება, დაახლოებით ხუთი წელი დასჭირდება.

კონტაქტები

მეგობრობა განმტკიცდება

ხელი მოაწერეს კაპისა-საქართველოს თანამშრომლობის შეთანხმებას

ქაბული. ავღანეთის დედაქალაქში ხელი მოაწერეს 1988-1990 წლებში ავღანეთის რესპუბლიკის კაპისის პროვინციისა და საქართველოს სს რესპუბლიკის პირდაპირი ურთიერთობის შემდგომი განვითარების შეთანხმებას.

ეკონომიკის, ტექნიკისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისა და ოლქების და ავღანეთის რესპუბლიკის პროვინციების პირდაპირმა მეგობრულმა ურთიერთობამ შარშან დაიწყო განვითარება. შეიმუშავეს და დაამტკიცეს ისეთი ურთიერთობის გეგმები, რომელთა მიზანია ავღანეთის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ხელმოწერილი დოკუმენტი ითვალისწინებს პარტიული, პროფკავშირული და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის სხვადასხვა დარგების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის სპეციალისტების გაცვლას, ეროვნული კადრების მომზადებაში კაპისის პროვინციისათვის დახმარებას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს.

შეთანხმების შესაბამისად კაპისა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან უსასყიდლოდ მიიღებს წამლებს, სამედიცინო მოწყობილობას, ტექნიკას, ფართო მოხმარების საქონელს.

ავღანეთში ყოფნის დროს საქართველოს სსრ დელეგაცია მიიღეს ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ, ავღანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ქეშთმანდმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ფოტოფაქტი



◆ **ინდოეთი**

ეს ჭაბუკები და ქალიშვილები დელის ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის უნივერსიტეტთან არსებული რუსული კვლევის ცენტრის სტუდენტები არიან. ამ ცენტრში მრავალი წელია სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. მისი კურსდამთავრებულები მუშაობენ ქვეყნის თითქმის ყველა უნივერსიტეტში, სხვადასხვა სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებაში, ცნობილ სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებში, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა კავშირთან.

ტასსის ფოტო.

პოლიციური ქრონიკა

მიესაჯათ სიკვდილი

სინგაპური. სიკვდილი მიუსაჯა სინგაპურის სასამართლომ ნარკოტიკების სამ ვაჭარს, რომლებსაც აღმოუჩინეს 1,7 კილოგრამი ჰეროინი. სამივე სინგაპურის მოქალაქეა, საერთაშორისო იატაკქვეშა სინდიკატის წევრი. როგორც პოლიციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, დანაშაულებრივი ბიზნესის მესვეურები სინგაპურს გადასატვირთავ პუნქტად იყენებენ „თეთრი სიკვდილის" ტვირთის მისაწოდებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, იაპონიასა და ავსტრალიაში.

ძმობის ფესვები

ვიმღეროთ, ჩვენში ტკბილად მღეროდნენ...

ამ სურათზე თანამედროვეობის სამი დიდი პოეტია გამოსახული: გელამ სარიანი, გიორგი ლეონიძე და სამედ ვურღუნი. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საბჭოთა პოეზიის ამ სამი თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებაში თვალნათლივ აისახა ჩვენი ერების საუკუნეობრივი მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის გატანა და ჭირსა თუ ლხინში თანადგომა. გ. ლეონიძე სწორედ ამ დრო-ჟამგამოვლილი ძმობის დასტურად მიმართავდა თანამოკალმეებს ლექსში „აზერბაიჯანელ პოეტებს": „ვიმღეროთ, ჩვენში ტკბილად მღეროდნენ დიდი რუსთველი, დიდი ნიზამი".

სამედ ვურღუნს, როგორც თვითონ ამბობს, „დიდი შემოქმედებითი ნათესაობა" აკავშირებდა გიორგი ლეონიძესთან. ეს სიახლოვე კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა ორივე პოეტის პირადი ურთიერთობის შედეგად. მათი კერძო წერილებიდან ირკვევა, რომ ორივე პოეტი ერთმანეთის შემოქმედებით იყო დაინტერესებული.

ს. ვურღუნს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" (1951 წლის № 1) ფურცლებზე გ. ლეონიძის პოემა „ფორთოხალა" წაუკითხავს და ჯერ კიდევ გაუნელებელი შთაბეჭდილებით პოემის ავტორისათვის წერილი მიუწერია. პოემით აღფრთოვანებული ს. ვურღუნი მეგობარ პოეტს სწერს:

„ძნელია ერთ წერილში გადმოცემა იმ დიდი კმაყოფილებისა, რომელიც მე მივიღე შენი პოემის „ფორთოხალას" წაკითხვისას, შენ მას ლირიკული პოემა უწოდე. ეს ასეა. მაგრამ ამ მშვენიერ ლირიკულ პოემას მე ვთვლი მთელ ეპოპეად იმ ძლევამოსილი ქართველი ხალხისა, რომელიც საუკუნეობით ცხოვრობდა, შრომობდა, იტანჯებოდა და რომელმაც საბოლოოდ უკვდავება დაიმკვიდრა"

ს. ვურღუნის ეს წერილი შემთხვევითი როდია. იგი გ. ლეონიძის მარტო მეგობარი კი არა, მისი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელიც იყო. მუდამ ინტერესით ადევნებდა თვალს მის შემოქმედებას და მისი წარმატებებით ხარობდა.

ასევე სამედ ვურღუნის შემოქმედებითაც დიდად იყვნენ დაინტერესებული მისი ქართველი მეგობრები.

სიცოცხლის ბოლო თვეებში, როცა ს. ვურღუნი მოსკოვის საავადმყოფოში იწვა, მასთან სანახავად მივიდა მისი პოეზიით მოხიბლული გიორგი ლეონიძე. ეს წერილი, სამედ ვურღუნის არქივში რომ მოვიპოვეთ, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რარიგ იმოქმედა ქართველ პოეტზე ს. ვურღუნის ავადმყოფობამ. გიორგი ლეონიძე ავადმყოფ მეგობართან პალატაში არ შეუშვიათ და აი, ასეთი წერილი მიუწერია მისთვის:

„საყვარელო სამედ,

ჩემო საუკეთესო მეგობარო და ძმაო, ძალზე შეწუხებული ვარ, ჯერ ერთი, იმით, რომ შენ საავადმყოფოში წევხარ და არ ზიხარ ჩვენთან ერთად, მეგობრობის ვიწრო წრეში სასტუმრო „მოსკოვში" და კიდევ იმით, რომ შენთან არ შემომიშვეს.

ძალზე კი მინდოდა შენი ნახვა! რა მოგივიდა, ნუთუ ლენქორანის ვეფხვს შეუძლია ავადმყოფობა? მაგრამ არაფერია, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ხანდისხან ვეფხვებიც ავადმყოფობენ.

გამაგრდი, ყველაფერი გაივლის და ყველაფერი კარგად იქნება და შენი „მომღერალი გული" ისევ ამღერდება უფრო დიდი ძალით.

ასე მეგობარო, ვიმედოვნებ, მალე დასძლევ საავადმყოფოს საწოლს და გავშლით მხიარულების ხალიჩას.

ე. ი. აღსდექ, აენთე და იბრწყინე!

გკოცნი ბევრს, მაგრად გეხვევი, ძვირფასო მეგობარო და ძმაო, საყვარელო სამედ.

შენი ძველი მეგობარი გოგლა ლეონიძე".

სამედ ვურღუნი, თავის 50 წლისთავის იუბილეზე მძიმე სარეცელს მიჯაჭვული, დღესასწაულზე ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმარს წერილით მიმართავდა: „დროებითი გარემოება თქვენთან ყოფნის საშუალებას არ მაძლევს. თვალით ერთმანეთს ვერა ვხედავთ, მაგრამ გულით თქვენთან მიგულეთ".

ორი კვირის თავზე იგი გარდაიცვალა.

„სამედ ვურღუნთან ყოველი შეხვედრა, სადაც უნდა ყოფილიყო ეს — ბაქოში, მოსკოვსა თუ თბილისში, მის დიდ, კეთილშობილ გულთან მაახლოებდა და [illegible] ოსი. იგი სამედ ვურღუნთან ერთად არაერთ საიუბილეო თარიღს დასწრებია და საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებითაც ბევ-[illegible]

სურათზე: გელამ სარიანი, გიორგი ლეონიძე და სამედ ვურღუნი.

ადგილობრივი პრესა: „ქუთაისი"

ბულბულები ბულბულობისათვის იბრძვიან

საუკუნეთა სიღრმიდან გვესმის წინაპართა ბრძნული შეგონება: ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლისგან არს ყოველი სიბილწე!

ეს მეათე საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის იოანე ბოლონელის გაფრთხილებაა. იგი იმასაც გვირჩევს: „სტუმარს ასმიე კეთილად, სიამეს ჰყოფ, ხოლო რაჟამს იწყე მეტსა ზედა და გარდაჰრიე ღვინითა და ასმევდი ვითა თხიერსა, უწესობითა მაშინ იწყოს ალმობოყინებად და აღმოთხევად... იხედვის იგი ვითარ ბორგნეული... ვითარცა ოთხფეხი გავიდეს გარე, დაეცეს და ვითარცა თხიერი წარხსნილი წარსდიოდეს, არა ძაღლნიცა ლოშნიდნენ პირსა მისსა"...

ხედავთ, ძაღლიც კი გაურბის მაგრად „ღლეულ" კაცსო.

და მაინც გრძელდება ქუჩებში ბახუსის მოტრფიალეთა ბარბაცი, ღრიანცელი, ყიამყრალობა და ბილწსიტყვაობა.

ისევ დაშლიგინებენ ავტომანქანებზე ამხედრებული ლოთბაზარა მძღოლები, ირგვლივ შიშს, ძრწოლასა და სიკვდილს რომ თესავენ.

ისევ იმართება 500 და 1000-კაციანი ქორწილები, ქელეხები და წვეულებები. არის უსამეველო შერკინება ჯიხვისა და ხარის რქებთან, ცას სწვდება სადღეგრძელოების კორიანტელი.

მერე კი კოცნა-ლოშნა, რომელიც ღრენაში, ცხვირ-პირზე კბენასა და ძვლების მტვრევაში გადადის.

და მოკლდება ისედაც „წამისმსწრობელი" წუთისოფელი, მოკლდება ისე საოცრად, რომ სიცილით კვდება ბოთლში ჩამძვრალი ჯინი.

მოდი და, ამის შემდეგ იწამე რამე ასეთი ლხინლრეობისა!

ჰოდა, მეც კარგა ხანია ზურგი ვაქციე მას.

— არც მასევარგა, კაცო. მტერმოყვარეში, მეზობლებში თუ ასე გამოვეწყდით, ჩვენც არავინ გაგვეკარება, — მითხრა მეუღლემ.

— აბა, რა ვქნათ?

— ხომ გაგიგონია, რა ხალხიც ცხოვრობ, იმათი ქუდი უნდა დაიხუროო... რა ვუთხრათ დღეს, მაგალითად, ვანიჩქას?

— ვინაა ვანიჩქა?

— აგერ, ჩვენს წინ რომ ცხოვრობს, ხარაზი.

— მერე რა უნდა?

— მის ბიჭს, ხრიკუნიას რომ ეძახიან, მეოთხე „სროკი" მოუხდია და წვეულება აქვთ. დაგვპატიჟეს და წაუსვლელობა არ ივარგებს, გადაგვეკიდებიან...

— სად, ქალო, არამზადასთან დავჯდე?

— არამზადა კი არა, კუდი ყავარზე გააქვს... შეხედე ერთი შენს მტკაველა ბინას და მერე მის ორსართულიან სასახლეს! შენ „ზაპოროჟეციც" გენატრება, იმას კი ციხის კარებთან „მერსედესი" დაახვედრეს.

— მათხოვრებივით ხომ ვერ წავალთ, ხელი ხომ უნდა დავიმშვენოთ, შევეცადე ხავსს ჩავჭიდებოდი, რათა არასასურველი სტუმრობა როგორმე თავიდან ამეცდინა.

— გამოვნახავ რაიმეს, — თქვა მეუღლემ და ქორწილის დროს ნაჩუქარი და შემდეგ მრავალჯერ გაძვირფასებული ვერცხლის დანა-ჩანგალი სათუთად შეახვია.

ფელეტონი

მოვედით და თვალებს არ დავუჯერე, როცა მაგიდაზე მთელი უბნის ბრწყინვალე საზოგადოება ვიხილე.

სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. მწყერი და მწყრის კვერცხები სოჭიდან ჩამოუზიდიათ. ირმის ხორცი — ლაპლანდიიდან, ნესვი — ტაშკენტიდან, ყველი — საზანოდან. შუა ადგილას, სავარძელში, ფაშასავით მოკალათებულიყო ოთხგზის ნაციხარი და ქადაგად დავარდნილ თანამესუფრეთა სადღეგრძელოებზე ისეთი თავაზიანი ღიმილით უპასუხებდა, რომ მამამისი სიხარულის ცრემლებს ველარ მალავდა... მონატრებულ ბიჭს თავს ევლებოდა.

ქეიფი ემხში უფრო და უფრო შედიოდა. გახურებულმა ღვინის სმამ ბევრს აუშალა სიტყვა-სიმღერის საღერღელი.

ითქვა მეკიტრე პოლიაქტორის, მეხაშე ალფეზას, მებუფეტე ალმასხანას და ბევრი სხვა ვოლგოსანაგარაკოსან-ციხე-დარბაზოსანის საქებ-სადიდებელი.

მაგრამ არავის გახსენებია ჩემს გვერდით მსხდომნი — ჭაღარა მეცნიერი აფრასიონ კილოსანიძე, არც ნაბრძოლ-ნაომარი კირილე, არც მშენებელი პარმენი და არც სხვა ისეთი, რომლებიც ამ სუფრაზე ჩემსავით მოხვდნენ.

ღვინომ გამაბედვინა და ანაზდად ფეხზე წამოვდექი.

— მეგობრებო, მსურს ჩემის მხრივ შემოგთავაზოთ ბატონი აფრასიონის სადღეგრძელო! — ვთქვი და სასმისს ხელი წავატანე.

— მოიცა, ბიძიკო, ბნელა, თუ რა? — კოსტიუმზე დამქაჩა წირწიტა ბიჭმა.

— როგორ, ჩვენ წართმეული ხომ არ გვაქვს სიტყვის უფლება?

— არა, ბიძიკოჯან, მაგრამ ჯერ ბულბულების სადღეგრძელოც არ შესმულა...

— ბულბულებისა?

— ჰო, გალიაში რომ სხედან... ჯერ იმათი ჯერია, ყვავებმა ცოტა მოიცადეთ...

ამის თქმა და: „პრავიან ბულბულებს გაუმარჯოს, პრავიან ბულბულებსო!" — ისე ერთხმად იხუვლა სუფრამ, რომ მე და „უპრავო" აფრასიონი რის ვაი-ვაგლახით გავძვერით გარეთ.

— ხედავ, რა ხდება, ავქსენტი ჩემო? — მითხრა აფრასიონმა.

— რა უნდა ხდებოდეს ისეთი, რაც არ გვინახავს და ჩვენ თვითონ არ დაგვიკანონებია. ადი საფიჩხიაზე, გოჭოურაზე, ოლასკურაზე და საკუთარი თვალით ნახავ, როგორი ძეგლები ადგათ ამნაირი ბულბულების საფლავებს — ზოგი ბრინჯაოსი, ზოგიც იტალიური მარმარილოსი...

მაგრამ ჩვენთან კიდევ რა!

აქვე, ერთ-ერთ მეზობელ რაიონში ამგვარი ყოფილი „ბულბულის" საფლავზე სახლი აუგიათ და მარტო ტელევიზორი და მაცივარი კი არა, ტელეფონიც კი დაუდგამთ. ოღონდ ესაა, ბოლომდე ვერ გავარკვიე, ამ ტელეფონით მიქელ გაბრიელს პირდაპირ უკავშირდებიან, თუ კომუტატორის საშუალებით...

ვანიჩქას ციხე-დარბაზიდან მამაკაცების საშინელი ყვირილი, ქალების წივილ-კივილი და ბოლოს კი სროლის ხმაც მოგვესმა...

ჩანდა, ლხინი უსისხლოდ არ დამთავრდებოდა: ბულბულები ადგილებისათვის იბრძოდნენ, „რამკიანი" ადგილებისათვის. და ამაში მხოლოდ ღვინოს ნუ დავადანაშაულებთ.

სერგო მაღლაფერიძე.

(გაზ. „ქუთაისი", 13 II 88 წ.)

კულტურის ფონდი

გიწვევთ აუქციონზე!

კვირას, 28 თებერვალს დილის 10 საათზე მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საქტო დარბაზში გაიხსნება საქართველოს კულტურის ფონდის მიერ მოწყობილი წიგნების პირველი აუქციონი.

ჩვენი საზოგადოება უნდა დააინტერესოს საუქციონოდ გამოტანილმა წიგნებმა, რომელთა შორის ბევრია იშვიათი გამოცემანი ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე, ძველი ჟურნალების იშვიათი კომპლექტები და ცალკეული ნომრები; XIX საუკუნეში გამოცემული კავკასიის კალენდრები და სხვა გამოცემანი, რომლებიც გამოადგებათ მეცნიერებსაც და ფართო მკითხველსაც.

ამავე დღეს „მხატვრის სახლში" გაიმართება კულტურის ფონდის მეორე აუქციონი. მას პერსონალურად მართავს და თავისი 36 ნამუშევარი აუქციონზე გამოაქვს ქართული სახვითი ხელოვნების გამოჩენილ ოსტატს, რესპუბლიკის სახალხო მხატვარს ზურაბ ნიჟარაძეს. ვინც მისი ქმნილებების ფასი იცის, აბა, ფულს როგორ დაიშურებს?

მაშ, მობრძანდით აუქციონებზე, მეგობრებო!

სუფევდა ჰარმონია

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი პროფკავშირების კულტურის სასახლეში, სადაც 22 თებერვალს გაიმართა რუსუდან სებისკვერაძის შემოქმედებითი საღამო. საღამოს წამყვანმა გია ჭირაქაძემ საზოგადოებას წარუდგინა კომპოზიტორი ქალი, რომლის სიმღერები მამულზე, თბილისზე, ქუთაისზე ოც წელზე მეტია ეფერს რადიოდან, ტელეეკრანიდან თუ ესტრადიდან.

როგორ იქმნება სიმღერა, როგორ ეძიებს კომპოზიტორი ლექსს, როგორ არჩევს შემსრულებელს, რა არის მისი შემოქმედების არსებითი ნიშან-თვისება — ამაზე ისაუბრეს მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილმა, პოეტებმა ლილი ნუცუბიძემ და ჯანსუღ ჩარკვიანმა, თვით კომპოზიტორმაც უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

საღამო დაამშვენეს ქართული ესტრადის ოსტატებმა.

იმავე საღამოს შედგა პრემიერა ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ვგალობ და ვგალობ".

საღამოს შემოსავალი გადაირიცხა საქართველოს საბავშვო ფონდის ანგარიშზე.

სპორტი

პირველი ოლიმპიური ჯილდო

ოლიმპიური ქსპარეზობის ისტორიაში საბჭოთა ბობსლეისტებმა (ორადგილიანი ეკიპაჟი) პირველად მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები. კანადის ოლიმპიური პარკის ტრასაზე ასეთ წარმატებას მიაღწიეს რიგელმა იანის კიპურსმა და მოსკოველმა ვლადიმერ კოზლოვმა. მართალია, ამ ეკიპაჟმა ერთი თვის წინ მსოფლიო თასი მოიგო, მაგრამ, როგორც თვითონ სპორტსმენებმა განაცხადეს, ოლიმპიადაზე გამარჯვებას მაინც არ ელოდნენ. მოკლედ, საბჭოთა სპორტული დელეგაციის მონაგარს „დაუგეგმავი ოქრო" შეემატა.

ოლიმპიურ დისციპლინებს შორის, როგორც წესი, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სათხილამურო ესტაფეტა. გუშინწინ მედლებისთვის იბრძოდნენ ვაჟ მოთხილამურეთა გუნდები (4X10 კილომეტრი). სპეციალისტების ვარაუდი გამართლდა — პირველი ადგილისათვის უშეღავათო პაექრობა გაჩაღდა შვეციისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს შორის. ბოლო მომენტამდე ძნელი სათქმელი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. შვედებს უფრო მეტი გამძლეობა აღმოაჩნდათ და ჩემპიონობაც მათ მოიპოვეს. საბჭოთა მოთხილამურეებმა ვერცხლის მედლები მიიღეს. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ **ვლადიმერ სმირნოვი, ვლადიმერ სახნოვი, მიხეილ დევიატიაროვი და ალექსი პროკუროროვი.** მესამე ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის კვარტეტი.

სამთო-სათხილამურო სპორტში კვლავ წარმატებით იასპარეზეს ავსტრიელებმა. ქალთა სუპერგიგანტი მოიგო ამ ქვეყნის გუნდის ლიდერმა **ზიგრიდ ვოლფმა,** მეორე ადგილზე გავიდა შვეიცარიელი **მიქაელა ფიჯინი,** მესამეზე — კანადელი **კარენ პერსი.**

დღეს იწყება ჰოკეისტთა ფინალური ტურნირი. საბჭოთა ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელიც 4 ქულით გააგრძელებს ბრძოლას. ფინელებს 3 ქულა აქვთ, შვედებსა და დასავლეთგერმანელებს — 2, კანადელებს — 1, ჩეხოსლოვაკიელებს — არც ერთი. დღეს ჰოკეისტთა ტურნირზე ცენტრალური მატჩია: საბჭოთა კავშირი-კანადა.

ჭადრაკი

ბრძოლას შქლიერესები აგრძელებენ

წყალტუბოში, პრეტენდენტთა ტურნირზე, როგორც ცნობილია, მარტა ლიტინსკაიამ ირინა ლევიტინასთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. მართალია, ლიტინსკაიამ ამჯერად დაკარგა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის უფლება, მაგრამ მომავალი ციკლის საზონათშორისო ტურნირის საგზური მიიღო, ამასთან, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატიც გახდა.

აი, რა გვითხრა ლვოველმა მოჭადრაკემ:

— იმის მიუხედავად, რომ დიდხანს ლიდერი ვიყავი, შეჯიბრების საბოლოო შედეგები ობიექტურად მიმაჩნია. სპორტი სპორტია, გაიმარჯვეს იმათ, ვინც ბოლომდე მაღალი საბრძოლო სულისკვეთება შეინარჩუნა. იოსელიანისა და ახმილოვსკაიას წარმატება კანონზომიერია. ამას ქულათა განსხვავებაც გვიჩვენებს. შეიძლება ზოგმა მონაწილემ ილაპარაკოს რაღაც უიღბლობაზე (ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე), ცაიტნოტებზე, მძიმე, 6-საათიან თამაშზე, მაგრამ პირობები ხომ ყველასათვის ერთნაირი იყო. ერთი სიტყვით, ცხადია, რომ იოსელიანი და ახმილოვსკაია დღეისათვის უძლიერესი პრეტენდენტები არიან. ვინ არის მათ შორის უფრო ძლიერი? ამას მომავალი მატჩი გაარკვევს.

რაც შეეხება პირობებს, რომელშიც ჩვენ მოგვიხდა თამაში, მას შეიძლება საუკეთესო ეწოდოს. მე ბევრ ქვეყანაში, ბევრ ქალაქში ვყოფილვარ, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა — წყალტუბოელებმა ყველას და ყველაფერს გადააჭარბეს. ქალაქის ხელმძღვანელობამ იშვიათი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, საკონცერტო დარბაზი „ივერია" ნამდვილად საუკეთესოა და, ეტყობა, აქ კიდევ არაერთი შეჯიბრება მოეწყობა. ძალიან მომეწონა გულშემატკივრები. ისინი სრული ობიექტურობით გამოირჩეოდნენ. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

წყალბურთი. კიევსა და მინსკში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. თბილისის „დინამომ" ბოლო მატჩი ფრედ (7:7) დაამთავრა მინსკის გუნდთან და ახლა 12 ქულა აქვს. ჩემპიონატს 19-19 ქულით ლიდერობენ მოსკოვის „დინამო" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი.

ჩემპიონატი 15 მარტს განახლდება თბილისსა და ძერჟინსკში.

ჩოგბურთი. აშშ-ს ქალაქ ფაირფაქსში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი ლეილა მესხიც მონაწილეობს. პირველ წრეში ქართველმა სპორტსმენმა დაამარცხა იაპონელი აკიკო კიჯიმუტა — 7:6, 7:6. პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა აგრეთვე მინსკელმა ნატალია ზვერევამ, მოსკოველი ნატალია ბიკოვა კი გამოეთიშა ბრძოლას.

უკანასკნელ საათს

ნანა იოსელიანისა და ელენა ახმილოვსკაიას მესამე პარტია გადაიდო. ამ პარტიის დამთავრება დღეს მოეწყობა. ჯერჯერობით წინ არის იოსელიანი — 1,5:0,5.

• • •

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩი. თბილისის დინამოელმა კალათბურთელებმა უმასპინძლეს მოსკოველ არმიელებს. შეხვედრა მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 106:77. განმეორებითი მატჩი გაიმართება მოსკოვში 25 თებერვალს.

რედაქტორი ნ. ზოზხაძე.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 24 თებერვალი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ზამთრის ოლიმპიადა. 12.20; 16.20 და 18.00 — ახალი ამბები. 16.45 — მეცნიერებისა და შრომის კავშირი. 17.15 — სიმფონიური კონცერტი. 18.05 — დოკუმენტური ფილმი „სიკვდილი თვლემს". 18.15 — ისტორიის და პატრიოტიზმის ჩანერგვა. 18.45 — „გამარჯობა, მუსიკავ!" 19.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „საბჭოთა ესტონეთი. განახლების ქრონიკა". 20.25 — დღეს მსოფლიოში. 20.45 — ზამთრის ოლიმპიადა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ზამთრის ოლიმპიადა. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — ზამთრის ოლიმპიადა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — მუსიკა. IV კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. პიროვნებათა ურთიერთობა. 11.35 და 12.35 — მუსიკა. II კლასი. 13.05 — მხატვრული ფილმი „ზემდეგი". 14.30 — ქალაქები და წლები. დოკუმენტური ტელეფილმები. 15.00 და 19.00 — ახალი ამბები. 15.05 — მხატვრული ტელეფილმი „პირველი სიხარული". I სერია. 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ადამიანი და კომპიუტერი". 19.30 — ზამთრის ოლიმპიადა. 20.00 — „...თქვენამდე წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.00 — რეკლამა. 21.05 და 22.50 — საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეების გახსნა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 0.55 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რად სჭირდება ზღვის კულტივატორი". 14.05 — მოსწავლეებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 14.45 — მულტფილმი. 14.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულიდან დაღამებამდე". 15.15 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „თავმჯდომარე ბუტენკო" და „დუმანზე — ეს „ორშაბათია". 15.55 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.25 — განცხადებები. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პორტრეტი". 16.50 — თეატრალური აფიშა. 17.20 — მოსწავლეთათვის. საზეიმო კონცერტი. 17.55 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 67 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენებისას — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 20.15 — „მოამბე". 20.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.30 — „ქართველი პოეტები და რევოლუციური საქართველო". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — კონცერტი. 23.30 — ზამთრის ოლიმპიადა.

მეორე პროგრამა. 17.55 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 67 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. შესვენების დროს — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 20.15 — „მოამბე". 20.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.30 — ქართველი პოეტები და რევოლუციური საქართველო".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უუ 06205 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14